პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
ტელეფონი 10—49

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ—65 კ., დანარჩენებისათვის ქალაქში—85 კ., ქალაქს გარეშე—95 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს". განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა—50 კაპ. განცხადებები მიიღება 3 საათამდე.

ექსპედიციის ტელეფ. 5—43

სამშაბათი, 25 ნოემბერი 1924 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კ. № 269 (1124)

დღიური

გადადგა ოსმალეთის პრემიერი ისმეტ-ფაშა.

ოსმალეთის ახალი მთავრობის შედგენა მიენდო ფეთჰი-ბეის.

ნიშნად პროტესტისა კაირში (ეგვიპტე) გაიფიცნენ სტუდენტები.

პარიზში ჩავიდა ჩვენი დელეგაცია ფეთრგვარდიელების მიერ გატაცებული გემების ჩასაბარებლად.

ჩეხო-სლოვაკიაში მოკლე ხანში მოეწყობა [illegible]

იაპონიაში გაჩნდა ახალი სენი.

საფრანგეთის სენატმა მოიწონა [illegible] შეკრულება.

„კომუნისტი"

მიიღება ხელისმოწერა დეკემბრისათვის

მუშა-მოსამსახურეებისათვის, წითელ-არმიელთა და მოსწავლე ახალგაზრდობისათვის გაზეთი ღირს თვიურათ 65 კაპ.

დანარჩენებისათვის (თბილისში მიტანით 85 კ.
(პროვინციაში გაგზ. 95 კ.

• • • • • • • •

იბეჭდება და ამ დღეებში უფასოთ დაურიგდება ყველა ხელისმომწერთ.

„ჩირაღდანი"

30 ნოემბერს გაიხსნება

თბილისის სამაზრო-საქალაქო

პარტიული კონფერენცია

კონფერენციის დღის წესრიგი:

1. საქართველოს კომპარტიის მორიგი ამოცანები.
2. ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის მოხსენება და კომკავშირის თბილისის კომიტეტის თანამოხსენება.
3. ც. ს. კ. და თბილისის კომიტეტის სარევიზიო კომისიის მოხსენება.
4. შრომის ნაყოფიერება და ხელფასი.
5. აღმასკომის ანგარიში.
6. საორგანიზაციო საკითხები.
7. მიმდინარე საქმეები.

კონფერენციის გახსნის ადგილი ცალკე იქნება გამოცხადებული

თბილისის კომიტეტის მდივანი **რუბენი.**

ორშაბათს, ა/წ. 1 დეკემბერს, საღამოს 6 საათზედ, სახალხო სახლში (ყოფილ ზუბალაშვილის სახელობის) დანიშნულია

თბილ. საბჭოს პლენუმის მორიგი სხდომა

დღის წესრიგი:

1. მოხსენება ჯანმრთელობის განყოფილების მუშაობის შესახებ.
2. მოხსენება ადმინისტრატ. განყოფილების მუშაობის შესახებ.
3. მიმდინარე საკითხები.

დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.

საბჭოს წევრებს დაურიგდებათ თბილისის საბჭოს მუშაობის ათთვის მოკლე ანგარიში და „მოამბე"-ს უკანასკნელი № 3 (7)

ნის. 285—3—1

პრეზიდიუმი

სამშაბათს, 25 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის სამდივნოს ბინაზე მოწვეულია

ს. ქ. პ. თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

თბილისის კომიტეტის მდივანი **რუბენი**

ჩვენი დაწესებულებების გაჯანსაღებისათვის

არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ ჩვენს სახელმწიფო აპარატში და სამეურნეო ორგანოებში ჯერ კიდევ არიან აქა-იქ დარჩენილი მშრომელთა ხელისუფლებისათვის უცხო და მავნე ელემენტები. ჩვენ კიდევ ვერ მოვასწარით ახალი ტიპის მუშაკთა საკმაო რიცხვის მომზადება და მეტწილად ვსარგებლობთ იმ „ცოცხალი მასალით", რომელიც მემკვიდრეობად გადმოგვეცა ძველი რეჟიმებიდან.

ეს გარემოება თავის დაღს ასვამს ჩვენი დაწესებულებების მუშაობას. ძველმა მოხელეებმა თან მოიტანეს თავიანთი ძველი „ჩვეულებები"—ბიუროკრატიზმი, სახელმწიფო ქონების მითვისება, მექრთამეობა და მრავალი სხვა.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის ნიადაგზე აღმოცენებული ბურჟუაზია მძლავრად აწვება ჩვენს სახელმწიფო აპარატს და ცდილობს მის შიგნიდან გახრწნას.

თვით სამეურნეო ორგანოებში შეჩრილი არიან „სპეცების", „საქმის ხალხის" სახით „ნეპმანური" ელემენტები, რომელნიც თავიანთ თანამდებობას იყენებენ ბნელი კომბინაციებისათვის,—მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს საზიანოდ. ამასთან სპეკულიანტები იოლი გამდიდრების მაძიებელი პირები აბამენ ათასგვარ ქსელს, უკავშირდებიან დაწესებულებებში მოკალათებულ მერყევ და სუსტ მუშაკებს, ითრევენ მათ თავიანთ „მოღვაწეობაში", ამით დიდ მატერიალურ ზიანს აყენებენ სახელმწიფოს და სცემენ დაწესებულების პრესტიჟსაც.

ჩვენ ბევრჯერ გამოგვიქვეყნებია ფაქტები სახელმწიფო ვაჭრობის ჩაშლისა სათანადო ორგანოებში შეპარულ ბნელი პირობების მიერ—საკუთარი ჯიბის გასასქელებლად, სახელმწიფოსათვის აშკარად საზიანო ხელშეკრულებების დადებისა კერძო პირებთან და სხვ..

თუ რამდენად საშიშოა „ნეპმანიზმის" ეს გამხრწნელი მოვლენა, ეს სჩანს, სხვათა შორის, იქიდანაც, რომ მას თავის წუმპეში ჩაუთრევია სამოსამართლო დაწესებულებათა ზოგიერთი თანამშრომელი და საპროკურორო ზედამხედველობის მუშაკნიც კი. ამის შესახებ მკითხველი დღეს გაეცნობა საუბარს ამხ. ვარძიელთან. თურმე იუსტიციის უწყებაში შემდგარა მთელი „შაიკა", რომელიც მიზნად ისახავდა სასამართლოს პროცესზე გავლენის მოხდენას დაინტერესებულ პირთა სასარგებლოდ.

პროლეტარული სასამართლოს, კერძოდ საპროკურორო ზედამხედველობის მუშაკნი მოწოდებული არიან მტკიცედ დაიცვან საბჭოთა მართლმსაჯულება და თვალყური ადევნონ საბჭოთა კანონიერების განხორციელებას, ებრძოლონ ყოველგვარ ბოროტმოქმედებას. და აი, მათ წრეშიც კი გაჩენილან ისეთი პირები, რომელნიც თავიანთი მოქმედებით ჩირქს სცხებენ საბჭოთა იუსტიციას.

ისინი ცდილობდნენ პროლეტარული მართლმსაჯულების შებღალვას და ამა თუ იმ დანაშაულის გამო საბრალმდებლო სკამზე წამოსკუპებულ შეძლებულ ელემენტებისათვის დახმარების გაწევას,—ცხადია, ანგარების მიზნით, „ჯილდოს" აღების გულისათვის.

ეს მუშაკნი, აგრეთვე ის პირები, რომელთაც მათზე გავლენა მოახდინეს, დაპატიმრებული არიან. რა თქმა უნდა, ისინი სასტიკად იქნებიან დასჯილნი.

მაგრამ ჩვენ ამით ოდნავადაც ვერ დავკმაყოფილდებით. ეს ფაქტი ჩვენ ერთხელ კიდევ მოგვაგონებს, რომ საჭიროა საბჭოთა დაწესებულებების და სამეურნეო ორგანოების საფუძვლიანი გაწმენდა და მათი დაცვა ბურჟუაზიულ სტიქიის იერიშებისაგან.

მუშაობას ამ მიმართულებით უნდა მიეცეს სისტემატიური ხასიათი. საკონტროლო და სხვა სათანადო ორგანოებმა, აგრეთვე მუშკორებმა ამას უნდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კვირეული

თანახმად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა, 23 ნოემბრიდან 30-მდე გამოცხადებულია სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კვირეული.

ამ კვირის განმავლობაში სამაზრო ხელისუფლების სათანადო ორგანოებმა მთელი თავისი ძალღონე და დრო უნდა დაუთმონ ამ გადასახადს, რათა ყოველ მიზეზ გარეშე აიკრიფოს აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში უკლებლათ ორი მესამედი გადასახადისა, ხოლო დასავლეთ საქართველოს რაიონებში კი ერთი მესამედი.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ მნიშვნელობაზე ითქვა და დაიწერა. ამ მხრივ საკითხი ამოწურულად უნდა ჩაითვალოს.

მხოლოდ ერთი რამ უნდა ვიქონიოთ მხედველობაში. ჩვენი ბიუჯეტი თუ შედგენილია უდეფიციტოთ, ეს იმ ანგარიშით, რომ საერთოთ გადასახადები და კერძოთ სასოფლო-სამეურნეო გადასახადი შემოვიდოდა სახელმწიფო სალაროში დანიშნულ ვადაზე და ამასთან იმდენი, რაც ნავარაუდევი იყო ამ ბიუჯეტის შედგენის დროს.

თავის თავად ცხადია, რომ თუ ამ შემოსავლის მიღება ვერ მოვახერხეთ ანუ დაგვიანებით მივიღეთ იგი, ჩვენ ვერ გავამართლებთ საბიუჯეტო მოსაზრებებს—ბიუჯეტი გამოგვივა დეფიციტიანი, სახელმწიფოს ხარჯები გადაამეტებენ მის შემოსავალს და მაშინ მთავრობა იძულებული გახდება აუცილებელი ხარჯების დასაფარავად მიემართოს ქაღალდის ფულის ემისიისათვის.

ჩვენ კი ყველამ კარგათ ვიცით, რას ნიშნავს ეს; რამდენათ სახიფათოა იგი ჩვენი ეკონომიურ-პოლიტიკური ცხოვრებისათვის.

აღარავინაა ჩვენში იმისთანა, რომელმაც არ იცოდეს, რომ თუ კი სახელმწიფო იძულებული შეიქნება, ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად მიმართოს ქაღალდის ფულის ემისიას,—უნდა გამოვეთხოვოთ ჩვენს მტკიცე ვალიუტას და ეკონომიური ცხოვრების ულმობელობა ისევ მერყევ ფულის მეურნეობის ქაოსში გადაგვჩეხავს.

ამ გარემოების გათვალისწინება საკმარისია, რომ ყოველმა ჩვენთაგანმა დახარჯოს მაქსიმუმი თავისი ენერგიისა, ცოდნისა და გავლენისათვის სამოქმედო რაიონში, რათა სამეურნეო გადასახადი, როგორც მეტად თვალსაჩინო ნაწილი ჩვენი საშემოსავლო ბიუჯეტისა, შეტანილი იქნეს მთავრობის საერთო სალაროში დანიშნულ ვადაზე.

ყველამ ვიცით, რომ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის მთელი სიმძიმე ამჟამად გადატანილია სამეურნეო ფრონტზე—აქაც ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ ისეთივე უნარიანობა, როგორც პოლიტიკურ საკითხებში.

სამეურნეო ფრონტის უდიდესი და უმნიშვნელოვანესი ნაწილია—საგადასახადო საქმის მოგვარება საზოგადოთ და უმთავრესად კი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა.

ვინც ამ გადასახადს ჩაატარებს თავიდან ბოლომდე გულმოდგინეთ,—ის ჩაითვლება საუკეთესო მუშაკათ საბჭოთა მშენებლობაში, ის საქმით უწყობს ხელს მის განმტკიცებას, ეკონომიურად მოღონიერებას.

სამეურნეო ფრონტზე მუშაობა უფრო ძნელია—აქ ყოველივე სიტყვა მოითხოვს აგრეთვე საქმესაც, ამ ფრონტზე სიტყვა საქმიდან არ განირჩევა, ეს ფრონტი დაუღალავი მუშაობის ასპარეზია. ხოლო თუ ვინმე ამას არ შერევა, ის ან შეგნებულად ან შეუგნებლად ხელს უწყობს საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის ჩაფუშვას სამეურნეო ფრონტზე.

დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ჩვენი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს და თვითეულ მუშაკს სავსებით აქვთ შეგნებული ხსენებულ კვირეულის უაღრესი მნიშვნელობა და ისინი ყოველ ღონეს იხმარენ, რათა სრულიად გაამართლონ ამ კვირეულის დანიშნულება.

საჭირო დარიგება და განმარტება კვირეულის შესახებ უკვე გადაეცა ადგილობრივ ხელისუფლებას. მას ამასთან შეუძლია კვირეულის გეგმა შესცვალოს ადგილობრივი პირობების მიხედვით. აუცილებელია მხოლოდ კვირეულის დამთავრება პირველ დეკემბრისათვის. მანამდე ადგილობრივი ორგანოების სათანადო პასუხისმგებელი ამხანაგები განუწყვეტლივ უნდა იქნენ რაიონებში და მათ ამ კამპანიის [illegible] გაუწიონ უშუალო ხელმძღვანელობა.

პ. ჯ.

ძირითადი კოოპერატივების თანხების საკითხი

კოოპერაციის მუშაობის საგანს შეადგენს — გაანვითაროს საქონლის ბრუნვა, მიაწოდოს გლეხს საჭირო საქონელი და გაუსაღოს მას ხელსაყრელ ფასებში მისი ნაწარმოები. ამ ორივე უსაჭიროესი ამოცანის განსახორციელებლად საჭიროა საბრუნავი თანხა, რომლის დაგროვება დამოკიდებულია კოოპერაციის ზრდისაგან. როგორია ამ მხრივ მდგომარეობა?

ცეკავშირის საინსტრუქტორო განყოფილებაში ძირითადი კოოპერატივების (მთლიანი მომხმარებელი საზოგადოებათა,—„ეპოების") თანხების გასაცნობათ მივიღეთ მასალა, რომელიც შეეხება 58 „ეპოს". ეს მასალა, მართალია, სრული არ არის, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია გამოვიყვანოთ იქიდან გარკვეული დასკვნა.

58 „ეპოს" ჰყავს დაახლოვებით 23.673 წევრი, საპაიო თანხა უდრის 39034.81 კ. ც. ი. თითო წევრზედ მოდის 1 მან. 22 კ., რაც შეადგენდა ომიანობის წინეთ საწევრო შემოსატანს.

უნდა აღინიშნოს რომ დასახელებული რიცხვიდან უმეტესი ნაწილი—54 პროც. არის სოფლის მომხმარებელი კოოპერატივი („ეპო"), მხოლოდ ოთხია—ქალაქის (ფოთი, ბათუმი, ქუთაისი, ოზურგეთი; თბილისის მუშკოოპი ამ რიცხვში არ შედის); სათადარიგო, ძირითადი და სხვა თანხები, რომელიც დაგროვდა მოგებიდან გადადებით შეადგენს, 217.906 მ. 72 კ.,—სულ ამნაირათ საკუთარი თანხა 58 „ეპოს" უდრის 256.941 მ. 53 კ., საბრუნავი თანხას უნდა ჰქონდეს მოძრავი ხასიათი, ის უნდა დაიბანდოს სამომხმარებლო საქონელში; ჩვენს კოოპერაციას კი საკუთარი თანხა ერთიანათ ჩაუდვია ქონებაში და ზედ დაუმატია კიდევ მოკლე ვადიანი სესხის 41.798 მ. 12 კ. და, ამნაირათ, 58 „ეპოს" შეუძენია სულ 298.739 მან. 70 კ. ქონება.—ქონების უმეტესი ნაწილს შეადგენს ინვენტარი, ფარდულები და სხვა შენობები, რომლის შეძენა პარკის ოპერაციის ჩატარებით იყო გამოწვეული.

თუ საკუთარი საბრუნავი თანხა კოოპერაციას არ მოეპოვება, რითი საზრდოობს ის? ამის პასუხს გავიგებთ, როდესაც ჩვენ გავეცნობით მისი დავალიანებას.

1 ივლისისთვის ძირითადი კოოპერაციის დავალიანება უდრის: ცეკავშირის მიმართ 731,605 მ. 41 კ., სახელმწიფო ვაჭრობა-მრეწველობის—101,391 მ. 43 კ., წევრების და კერძო პირების—286,298 მ. 87 კ. სულ კი 1.119,295 მ. 71 კ. აქედან აშკარაა რომ ძირითადი კოოპერაცია მუშაობს პასივის საკრედიტო ოპერაციებით, პირველყოვლისა ცეკავშირის ფინანსებით, შემდეგ წევრების და კერძო პირების დახმარებით; მხოლოდ სახელმწიფო ვაჭრობა-მრეწველობა ცეკავშირის გარეშე უშუალო ნელნელა იჭრება ძირითად კოოპერაციაში.

საკუთარი თანხების ზრდას ხელი შეუწყო სავაჭრო საქმიანობამ, რომელმაც დაუტოვა ძირითად კოოპერაციას ივლისის პირველისათვის მოგება 95,334 მ. 19 კ.

ძირითადი 58 „ეპკომ" თავისი ვალები რომ გაისტუმროს, მათ დარჩებათ ქონება 298 769 მან. 70 კაპ. და საბრუნავი თანხა 440,369 მ. 32 კ., რომლიდან ცეკავშირის და კოოპერატიულ ბანკის საპაიო—3.580 მან. 42 კ. უძრავია, სხვადასხვა დებიტორები და მინისიავენი შეადგენენ 305.966 მან. 21 კაპ. და დარჩება საქონელი 130.823 მან. 11 კ, აშკარაა, ამ თანხით ისინი ვერ ემსახურებიან მთელი რაიონების მომხმარებელთ და თავის წევრებსაც ვერ დააკმაყოფილებენ საქონლით

გლეხის ბიუჯეტი მეტად სუსტია და შეძენა მას ბევრი საქონლის არ შეუძლია. მეორე მხრით — ჩვენ ვგმობთ იმისთანა ოპერაციების გატარებას, რომელსაც არ აქვს კავშირი მუშა-გლეხ მასასთან. ამნაირად, საქონლის ოპერაცია იოლი არაა; ფართედ მოსახმარ საქონელზე ფასის დაწევა ფულის განმტკიცებისათვის აიძულებს კოოპერაციას ზარალიც გასწიოს; სავაჭრო მოგებას, რომელიც წინეთ იყო უმთავრესი წყარო თანხების დაგროვებისა, ეხლა არ არის ძველებურად მნიშვნელოვანი. თანხების დაგროვებაში პირველი ადგილი უნდა დაიკავოს ახალი წევრების მოპოვებამ და საპაიო ფულის შემოტანამ. ამასთან სახელმწიფომ სესხი უნდა მისცეს ძირითადი კოოპერატივებს—საპაიო თანხის დაგროვების მიხედვით, შესაძლოა—წევრების ქონების გარანტიით. საქონლის თუ ფულის კრედიტის გახსნა და განაწილება „ეპოებში" უნდა სწარმოებდეს თვით ცეკავშირის საშუალებით, რადგან მხოლოდ ცეკავშირია ერთად-ერთი ორგანო, რომელიც იცნობს კოოპერაციის საქონელს, მისი მატერიალურ და ფინანსიურ შესაძლებლობას. მოყვანილი ციფრებიდან აშკარაა, რომ საფეიქრო სინდიკატი, რეზინის ტრესტი და სხვა სახელმწიფო დაწესებულებანი ძნელათ იკიდებენ ფეხს პირველად კოოპერატივებში.

ვლ. კორძაია.

ინგლისის იმპერიალიზმი აღმოსავლეთში

ინგლისის მთავრობა ემუქრება ეგვიპტეს „დამოუკიდებლობის" სრულიად წართმევით

დემონსტრაციები ეგვიპტეში ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ

ინგლისს სურს ისარგებლოს გენ. ლი-სტეკის მოკვლით, რომ მახვილი ჩასცეს განმანთავისუფლებელ მოძრაობას

„მუშათა" მთავრობა იარაღს გზავნიდა მექსიკაში აჯანყებების მოსაწყობად

ინგლისის მთავრობის ნოტა

ლონდონი. 22 ნოემბერი. ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა იმ ნოტის ტექსტი, რომელიც გაეგზავნა ეგვიპტეს მთავრობას. ნოტაში ნათქვამია:

„მთავარსარდალ ლი-სტეკის მოკვლა, რომელიც სახელს უტეხს ეგვიპტეს ყველა განათლებულ ქვეყნების თვალში, არის ბუნებრივი შედეგი იმ აგიტაციის, რომელიც სწარმოებს ინგლისის უფლებების წინააღმდეგ ეგვიპტესა და სუდანში. ამ აგიტაციას, რომელიც მოწმობს სრულ უმადურობას იმ სიკეთისათვის, რომელიც მოუტანა ინგლისმა ეგვიპტეს, ხელს უწყობდა ეგვიპტეს მთავრობა. ეგვიპტეს მთავრობამ დაუშვა სუდანის გენერალ-გუბერნატორის მოკვლა და მით დაამტკიცა, რომ მას სრულებით არ შეუძლია და არც სურს უცხოელების სიცოცხლის დაცვა".

შემდეგ ნოტაში ნათქვამია, რომ **თუ ინგლისის მთავრობის მოთხოვნილებები დაკმაყოფილებული არ იქნა, უკანასკნელი არ დააყოვნებს სათანადო ზომების მიღებას ეგვიპტეში და სუდანში თავისი ინტერესების დასაცავად.**

ინგლისის მთავრობის მოთხოვნილება

ლონდონი. 22 ნოემბ. ინგლისის უმაღლესმა კომისარმა ეგვიპტეში ალლენბიმ გადასცა ზაგლულ ფაშას ნოტა, რომელშიც ინგლისი მოითხოვს ეგვიპტეს მთავრობისაგან ბოდიშის მოხდას გენერალ ლი-სტეკის მოკვლისათვის, მკვლელობაში მონაწილე პირთა სასტიკად დასჯას, 500.000 გირვანქა სტერლინგის ანაზღაურებას, პოლიტიკურ დემონსტრაციის აკრძალვას და სუდანიდან ეგვიპტელ აფიცრების გაწვევას. ნოტა მოითხოვს აგრეთვე ეგვიპტეში ინგლისის იურიდიულ და ფინანსიურ მრჩეველების დატოვებას. პასუხი უნდა იქნას წარმოდგენილი 24 საათის განმავლობაში.

რეიტერის სააგენტოს სიტყვით, მოსალოდნელია ზაგლულ ფაშის გადადგომა.

ინგლისის ფარული ზრახვები

ლონდონი. 23 ნოემბ. ეგვიპტეს კომპარტიის წარმომადგენელმა „როსტას" თანამშრომელთან საუბრის დროს ეგვიპტეში მომხდარ კონფლიქტის შესახებ განაცხადა: „ინგლისის მთავარსარდლის გენერალ ლი-სტეკის მოკვლა ეგვიპტეში **ნიშნავს ეგვიპტეში ეროვნულ მოძრაობის გამწვავებას. ეჭვს გარეშეა, ინგლისის მთავრობა ისარგებლებს ამ მკვლელობით თავის მიზნისათვის.** ის დაეჭიდება მასზე იმის დასამტკიცებლათ, რომ ეგვიპტეს ხალხი არ „მომწიფებულა" დამოუკიდებელ არსებობისათვის და რომ ნაციონალისტურ მთავრობას არ ძალუძს დაამყაროს წესრიგი ქვეყანაში. აქედან ლოღიკურათ გამომდინარეობს ის, რომ ეგვიპტეში დატოვებული იქნება ინგლისის საოკუპაციო არმია.

რადგან ლი-სტეკის მოკვლას ინგლისელები უკავშირებენ სუდანში სამსახურიდან დათხოვნილ ეგვიპტელ მოხელეების უკმაყოფილებას, ეს საბაბს მისცემს ინგლისელებს საბოლოოდ გასწმინდონ სუდანი ეგვიპტელებისაგან და დააწესონ მხოლოდ და მხოლოდ ინგლისის ადმინისტრაცია ინგლის-ეგვიპტეს საერთო ხელისუფლების ნაცვლათ.

ინგლისელ იმპერიალისტების წინააღმდეგ

ქაირში გაფიცული არიან ყველა მოწაფეები

ლონდონი. 22 ნოემბერი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ქაირის ყველა სასწავლებლები გაფიცულია,—როგორც სჩანს, ნიშნად პროტესტისა იმ აგიტაციის წინააღმდეგ, რომელსაც აწარმოებს ინგლისის რეაქციონური პრესა გენერალ ლი-სტეკის მოკვლის გამო.

„ძირს ინგლისის დროშა"

ლონდონი. 22 ნოემბერი. ალექსანდრიაში გენერალ ლი-სტეკის მოკვლის გამო გამართულ პანაშვიდის დროს, გაიმართა საპროტესტო დემონსტრაცია ინგლისელების წინააღმდეგ. დემონსტრანტები **უყვიროდნენ: „ძირს ინგლისი". სტუდენტების მრავალ-რიცხოვანი ორგანიზაციების მანიფესტაცია გაიძახოდა: „ძირს ინგლისის დროშა".**

ინგლისის პრესის აზრი

ლონდონი 22 ნოემ. „დეილი ჰერალდი" მთელ მოწინავეს უძღვნის ეგვიპტეში შექმნილ მდგომარეობას და პროტესტს აცხადებს იმ გაზეთების წინააღმდეგ, რომლებიც მოითხოვენ ეგვიპტეს მიმართ მკაცრ ზომების მიღებას. „დეილი ჰერალდი" აღნიშნავს, რომ ინდივიდუალური დანაშაული არ გამოდგება იმის არგუმენტათ, რომ თითქოს მთელი ხალხი არ მომწიფებულიყოს თვითმმართველობისათვის.

ლიბერალური პრესა ურჩევს მთავრობას არ აჩქარდეს და არ აჰყვეს პანიკას და დამაკმაყოფილებლათ სთვლის ზაგლულ ფაშის მიერ თანაგრძნობის გამოცხადებას.

კონსერვატიული პრესა მოითხოვს რეპრესიულ ზომებს და აცხადებს, რომ ეგვიპტეს ხალხს არ აქვს თვითმმართველობის უნარი. „დეილი მეილი" მოწინავეში მოითხოვს ეგვიპტეს დამოუკიდებლობის გაუქმებას და აცხადებს, რომ ეს ექსპერიმენტი უშედეგოთ გათავდა.

ინგლისი და მექსიკა

ნიუ-იორკი. 22 ნოემბ. მექსიკის შრომის ფედერაციის ყრილობაზე ხუარეროში ინგლისის დელეგაციის და ინგლისის მუშათა პარტიის მდივანმა კრემპმა გამოსთქვა მწუხარება იმის გამო, რომ მაკდონალდმა შეცდომა დაუშვა მექსიკის საკითხში და აღუთქვა ყრილობას, რომ ინგლისის მუშათა პარტია შეეცდება გავლენა მოუსპოს ინგლისის კაპიტალისტებს მექსიკაში.

მექსიკის შრომის ფედერაციის მდივანმა ტრევინომ კრემპის საპასუხოთ აღნიშნა, რომ ინგლისიდან გონდურასში გამოგზავნილი იარაღი და სამარი მასალა საიდუმლოდ იგზავნებოდა მექსიკაში კონტრ-რევოლიუციონერების დასახმარებლათ. ტრევინომ მოუწოდა ინგლისის დელეგაციას ბრძოლისაკენ იარაღის გაგზავნის წინააღმდეგ და გამოსთქვა იმედი, რომ საბოლოოდ გაერთიანდება საერთაშორისო მუშათა მოძრაობა საერთო ხელმძღვანელ ცენტრის მეთაურობით.

ინგლისის დელეგაციის მეორე წევრმა სოუელსმა აგრეთვე გამოსთქვა მწუხარება იმ პოზიციის გამო, რომელიც მუშათა მთავრობას ეჭირა მექსიკის საკითხში და აღუთქვა დახმარება იარაღის გამოგზავნის შესაწყვეტათ. სოუელსმა მოიგონა ინგლისის მუშების ასეთივე გამოსვლა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ სახელმწიფოების გალაშქრების დროს. ბოლოს სოუელსმა აღუთქვა დახმარება მექსიკის მთავრობის ცნობის საკითხში.

სოუელსმა და კრემპმა დეპეშით სთხოვეს ინგლისის მუშათა პარტიის პარლამენტში დააყენონ საკითხი იარაღის ტრანსპორტის შესახებ და ეს გარემოება აცნობონ „დეილი ჰერალდს" და ტრედ-იუნიონების კონგრესს.

რა ხდება ინდოეთში

ინგლისის რეჟიმის საშინელებანი

ლონდონი. 22 ნოემბერი. ინგლისში სენსაცია და გაცხოველებული კამათი გამოიწვია ინდოეთის ახალგაზრდა გლეხთა ასოციაციის მდივანის—შერვუდ ედდის წიგნმა, რომელიც ამას წინათ გამოვიდა.

ავტორი ახასიათებს ინდოეთის მშრომელთა უმრავლესობის ცხოვრების საშინელ პირობებს. იმ ცნობების მიხედვით, რომელიც ავტორს აქვს, ინდოეთის თვითეული მცხოვრების საშუალო შემოსავალი **შეადგენს ორ კაპეიკს დღეში.** გამოდის რა იქედან, ავტორი დაასკვნის: „თვითეული მცხოვრების ეს საშუალო შემოსავალი მაჩვენებელია იმის, რომ ინდოეთის მოსახლეობა იმყოფება მუდმივი სიღატაკის პირობებში და ის ხშირად განიცდის მწვავე სიმშილს ეს უკეთეს შემთხვევაში ნიშნავს იმას, რომ ინდოელი გლეხი ცარიელ პურზე გადადის. ეს ნიშნავს მიწის იატაკს პატარა ოთახში, სადაც დაბინავებულია დიდი ოჯახი, რომელსაც არ აქვს არც ლოგინი, არც საწოლი, არც მაგიდა და არც სკამი".

საბინაო საკითხიც აგრეთვე მეტად მწვავეთ სდგას ინდოეთში. ავტორს მოყავს ცნობები, **რომელთა მიხედვით ბომბეიში თითო ოთახში ცხოვრობს 6—9 კაცი. მოსახლეობის 13** პროც. მეტი ცხოვრობს ათ-ათი კაცი თითო ოთახში. საექიმო სტატისტიკის მიხედვით, **1000 დაბადებულ ბავშვიდან კვდება 666.** ავტორი **ხაზს** უსვამს იმას, რომ იმ დროს, როდესაც მშრომელები ასეთ საშინელ პირობებში სცხოვრობენ, ბომბეის საფეიქრო წარმოებები ამ ჟამათ 170 პროც. მოგებას იძლევიან.

შემდეგ ავტორი აღნიშნავს, **რომ კალკუტის ერთერთ ფაბრიკაში, რომელიც 250 პრო. მოგებას იძლეოდა ინდოელი მუშები კვირაში იღებდნენ 2 მანეთს. მოზარდები იღებდნენ ერთ მანეთს კვირაში, ზოგი მუშები კი 5 კაპეიკს დღეში.**

ჩვენ და უცხოეთი

საფრანგეთი

ჩვენი სრულუფლებიანი წარმომადგენლობა საფრანგეთში

მოსკოვი. 23 ნოემბერი, საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში პარიზში შედიან შემდეგი პირები: **სრულუფლებიანი წარმომადგენელი—კრასინი, წარმომადგენლობის მრჩეველი—შლიაპნიკოვი, წარმომადგენლობის პირველი მდივანი—„რაბოჩაია მოსკვა"-ს რედაქტორი ბ. ვოლინი, მეორე მდივანი—ფუგატნერი, მესამე მდივანი—ელანსკი, პრესის და საინფორმაციო ბიუროს გამგე—მწერალი აროსევი.**

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობა საფრანგეთში გაემგზავრება მახლობელ დღეებში.

საბჭოთა გემების დაბრუნება

პარიზი. 22 ნოემბერი. პარიზში ჩავიდა საბჭოთა კავშირის მისია, რომელსაც დავალებული აქვს იმ გემების მიღება, რომლებიც გაიყვანა ვრანგელმა ბიზერტაში. **მისიის ჩასვლის გამო, დაიწყება ამ გემების საბჭოთა კავშირისათვის გადაცემის ტექნიკური მხარეების შემუშავება.**

ჩეხო-სლოვაკია

ჩვენი ცნობის წინ

პრაგა. 22 ნოემბერი. ჩეხო-სლოვაკიის ოფიციალურმა გაზეთმა „პრაგერ პრესე", რომელიც გამოდის გერმანულად, გამოუშვა საგანგებო ნომერი, რომელიც მიძღვნილია საბჭოთა კავშირისადმი. ნომერში მოთავსებულია კამენევის, სემაშკოს, ავანესოვის, კრუმინის, იაკოვლევას, მარკოვიჩის, ზაგორსკის, პროფესორ დობრანიცკის და სხვების წერილები. წერილებში გაშუქებულია საბჭოთა კავშირის ცხოვრების პირობები. წერილებს თან დართული აქვთ კარგად შერჩეული ილიუსტრაციები.

რეაქციის იერიშები

ესტონელ კომუნისტების პროცესი

პროკურორის სიტყვა.

რეველი. 22 ნოემბერი. ესტონელ კომუნისტების პროცესზე პროკურორმა საბრალმდებლო სიტყვაში გამოსთქვა ეჭვი ოხრანიკის მოწმეების ჩვენებათა სინამდვილეში. მან განაცხადა, რომ არ შეიძლებოდა სასამართლოში გამოგვეწვია გარეშე მოწმეები, ვინაიდან უკანასკნელებს ეშინიათ შურისძიების მუშების მხრივ, მაგრამ პროკურორს დამტკიცებულად მიაჩნია ის ფაქტი, რომ ბრალდებულები ეკუთვნიან კომინტერნის ორგანიზაციას და რომ ამ ორგანიზაციის მიზანია არსებულ წესწყობილების დამხობა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება.

პროკურორი მოითხოვდა აქტიურ პირთათვის სამუდამო კატორღის მისჯას, დანარჩენებისათვის კი ციხეში დაპატიმრებას.

კომუნისტების დევნა პოლონეთში

ვარშავა. 22 ნოემბერი. პოლონეთის მთელმა ბურჟუაზიულმა პრესამ დაიწყო გააფთრებული კამპანია სეიმის კომფრაქციის წევრთა წინააღმდეგ. **პრესა მოითხოვს კომუნისტ-დეპუტატების დასჯას და ხოტბას ასხამს ესტონეთის, რომელმაც დახვრეტა მიუსაჯა 2 დეპუტატს.** ზოგიერთმა გაზეთებმა დაიწყეს კამპანია სეიმის კომფრაქციის უკრაინელ დეპუტატების წინააღმდეგ და აცხადებენ, რომ ისინი მუშაობენ ამერიკაში მყოფ უკრაინელების ფულებით.

ხელები შორს ბესარაბიისაგან

დამპყრობლების შიში

ვენა. 21 ნოემბერი. მოლდავიის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის დაარსება ძალიან აღელვებს რუმინეთის საზოგადოებრივ წრეებს. ბესარაბიის ყოფილი მინისტრი—ნაციონალისტები ბიგოში, ზუგური და იანუ აცხადებენ, რომ მათ არ შეუძლიათ გაიზიარონ რუმინეთის მთავრობის ოპტიმიზმი მოლდავიის საბჭოთა რესპუბლიკის დაარსების შესახებ, რადგან ამითი რუმინეთს უჩნდება მრავალი დაბრკოლებანი.

რუმინეთის პოლიტიკური წრეებიც გულგრილად ვერ უცქერიან საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის აღიარებას, რამდენადაც მისი ნოტა იძლევა ბესარაბიაში პლებისციტის მოხდენის შესაძლებლობას.

მსხვილ კაპიტალისტების ორგანო „ადევერული" აღნიშნავს რუმინეთის საგარეო პოლიტიკის სისუსტეს და გამოსთქვამს შიშს, რომ საბჭოთა კავშირი საფრანგეთის მიერ დე-იურეთ აღიარების შემდეგ ისევ წამოაყენებს ახლად ბესარაბიის საკითხს.

ამავე დროს **იაპონიის მიერ ბესარაბიის ოქმის დამტკიცება „ადევერულის" შეუძლებლათ ეჩვენება იაპონია-საბჭოთა კავშირის დაახლოვების გამო.**

რადგან საბჭოთა კავშირის ენერგიულმა პროპაგანდამ რუმინეთს მოასწრო სრულიად მოუმზადებლათ, ამიტომ „ადევერული" მოითხოვს დიპლომატიურ კორპუსის სრულ გადახალისებას.

ბესარაბელ მშრომელთა მემორანდუმი

მოსკოვი. 21 ნოემბერი. ბესარაბიელთა საზოგადოება „შორს რუმინელ ავაზაკების ხელები ბესარაბიიდან" მიმართავს ინგლისის ტრედ-იუნიონების დელეგაციას მემორანდუმით ბესარაბიის იმ მუშათა და გლეხთა სახელით, რომელნიც იძულებულ არიან გადმოიხვეწონ თავიანთ ქვეყნიდან, რომ ამით თავი დააღწიონ რუმინეთის ძალმომრეებს. მემორანდუმი მიმართავს მოწოდებით ინგლისის მუშათა კლასის წარმომადგენლებს, გაეცნონ ბესარაბიის საკითხს, იქაურ მდგომარეობას, იქაურ მუშათა და გლეხთა ტანჯვასა და სურვილებს და შემდეგ ყველაფერი ეს გააცნოს ინგლისის პროლეტარიატს.

რუმინეთის ტერორის წინააღმდეგ

ვენა. 21 ნოემბ. დამატებითი არჩევნები რუმინეთის სენატში კოვორუის ოლქიდან—გლეხთა პარტია გამოიყენა ფართე პროპაგანდისთვის. საარჩევნო კრებებზე გლეხთა პარტიის ბელადები ამხელდენ რუმინეთის საერთო მდგომარეობას, **განსაკუთრებით კი აღნიშნავდენ ტერორს და უსამართლო ხოცვა-ჟლეტას ბესარაბიაში.**

გლეხთა დეპუტატმა სოროკმა განაცხადა, რომ ბესარაბიის გლეხებს მეტი აღარ ძალუძთ აიტანონ ტერორის რეჟიმი. კიშინიოველმა გლეხთა დეპუტატმა კი განაცხადა, **რომ ტერორი ბესარაბიაში ბევრათ აჭარბებს თვით ცარიზმის ტერორსაც.**

გლეხთა პარტიის ბელადმა ლუპუმ მოითხოვა მთავრობის გადადგომა და საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების განახლება. მან აღნიშნა: თუ ომი მოხდა საბჭოთა კავშირთან, რუმინეთის დამარცხება აუცილებელია, რადგან იგი ყველასაგან გარიყულია. ლუპუმ სთქვა: **„თუ მთავრობა მიმართავს ძალას, მაშინ გლეხთა პარტიაც უპასუხებს ისევე ძალით".**

ფაშიზმი საბერძნეთში

დამნაშავე არიან ფაშისტები

ათინა 22 ნოემბერი. ნაციონალურ წრეებში გრძელდება კამათი კავალაში მომხდარ ამბების გამო, კავალის თამბაქოს პლანტაციებში ამას წინად მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკება, რომელიც პროვოკაციულად გამოიწვიეს ფაშისტურმა ორგანიზაციებმა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა კანდილისმა აღიარა, რომ მთავრობა დახმარებას უწევდა მემარჯვენე მუშათა ორგანიზაციებს კომუნისტების წინააღმდეგ.

გაზ. „დემოკრატია“ ათავსებს სასამართლოს კვლევა-ძიებას, რომელიც ამტკიცებს ფაშისტების დანაშაულს ამ ამბებში.

ხმები სამხედრო შეთქმულების შესახებ

ათინა 23 ნოემბ. გაზეთები სავსეა ცნობებით იმის შესახებ, რომ მზადდებოდა სამხედრო გადატრიალება გენერალ ლეფუსის მეთაურობით სამხედრო დიქტატურის დამყარების მიზნით. მემარჯვენე და მემარცხენე ოპოზიციონური ორგანოები აბრალებენ შინაგან საქმეთა მინისტრს შეთქმულებაში მონაწილეობას.

მდგომარეობა იტალიაში

სამი მიმდინარეობა ლიბერალურ პარტიაში

რომი. 22 ნოემბ. მუსოლინის მთავრობისადმი დამოკიდებულების საკითხმა 3 მიმდინარეობად გაჰყო იტალიელი დეპუტატი-ლიბერალები, ყოფილი ფილოფაშისტები. ჯიოლიტის მომხრეებმა გადასწყვიტეს ხმა მისცენ მთავრობის წინააღმდეგ. ორლანდოს მომხრეებმა, რომლებსაც ემხრობიან აგრეთვე ყოფილი ჯარისკაცები, გადასწყვიტეს შეიტანონ პარლამენტში რეზოლიუცია, რომელშიაც უყურადღებოდ სტოვებენ მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების საკითხს და აცხადებენ, რომ პარლამენტი წესრიგის აღდგენის მოლოდინში გადადის მორიგ საკითხებზე. მესამე მიმდინარეობა, რომელიც მემარჯვენე ლიბერალებს აერთიანებს და რომელთა სათავეში სდგას სალანდრა, თავის რეზოლიუციაში გამოსთქვამს რწმენას, რომ მთავრობა მოახერხებს წესრიგის აღდგენას.

ფაშიზმმა დაჰკარგა ნდობა.

რომი. 22 ნოემბ. რომში გაიხსნა დიდი ფაშისტური საბჭოს სხდომა. საბჭოს გადაწყვეტილებებს არ აქვეყნებენ.

გაზეთ „ჯორნალ დ'იტალიას“ ცნობით, მუსოლინიმ საბჭოს სხდომაზე განაცხადა: „ჩვენმა შეცდომებმა დაუკარგეს ფაშისტურ პარტიას საზოგადოებრივი ნდობა. მაგრამ, თუ ჩვენ გამოვასწორებთ ამ შეცდომებს, ხელახლა დავიბრუნებთ ძველ პოზიციებსო“. გაზეთი იუწყება, რომ მუსოლინი მოითხოვდა ნორმალიზაციის გზაზე დადგომას.

სხვა და სხვა ამბები

— **ახალი სენი.** იაპონიაში გაჩნდა ახალი სენი, რომლის გამომწვევი მიზეზები ჯერ არ არის გამორკვეული. სენი საშინელი სისწრაფით ვითარდება. კვდება დაავადებულთა 60 პროც.

— **საფრანგეთის სესხი.** საფრანგეთის მთავრობამ დაამტკიცა ამერიკელ ბანკირ მორგანთან დადებული სესხის შეკრულება.

— **როგორ ებრძვიან სიძვირეს.** საფრანგეთის მთავრობის დადგენილებით დააპატიმრეს კომუნისტი ქალი ლიუსი მოლიარ, რომელმაც მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა სიძვირის შესახებ.

— **ისმეტ-ფაშას გადადგომა.** ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ ოსმალეთის პრემიერი ისმეტ-ფაშა გადადგა ავადმყოფობის გამო.

— **პორტუგალიაში.** პორტუგალიაში შესდგა ახალი მთავრობა.

— **ოსმალეთის ახალი პრემიერი.** ჰავასის სააგენტოს ცნობით ახალი მთავრობის შედგენა ოსმალეთში მიენდო ფეტხი-ბეის.

— **ახალი მთავრობა ავსტრიაში.** ავსტრიის ახალ მთავრობაში შედიან: პრემიერი—რამეკი, ვიცე-კანცლერი—ვებერი, ფინანსთა მინისტრი—ანნერი, საგარეო საქმეთა მინისტრი—მატაი. დანარჩენი მინისტრები დარჩენ ზეიპელის კაბინეტის შემადგენლობიდან.

—**არჩევნები ირლანდიაში.** ირლანდიის საპარლამენტო არჩევნებმა გამარჯვება მიანიჭა რესპუბლიკანურ პარტიას (ირლანდიის სრული დამოუკიდებლობის მომხრეებს). მთავრობის პარტია დამარცხდა. ამან დიდი მღელვარება გამოიწვია ირლანდიის პოლიტიკურ წრეებში.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

10.000 მილი ზღვაზე.

ვლადივოსტოკი. 23 ნოემ. 19 ნოემბერს ვლადივოსტოკის ნავსადგურში მივიდა გემი „ვოროვსკი“, რომელმაც გაიარა 10.000 მილი.

საშინელი ქარიშხალი შავ ზღვაზე.

ოდესა. 23 ნოემბ. საშინელი ქარიშხალი, რომელიც მძვინვარებდა გუშინ და შემდეგ შესუსტდა, დღეს განახლდა უფრო ძლიერათ. ნავსადგურის სამმართველომ მიიღო რადიო ცნობა ინგლისის გემიდან, რომელსაც ქარიშხალმა მოუსწრო კონსტანცის მახლობლათ. გემი მოითხოვს დაუყოვნებლივ შველას და იძლევა განუწყვეტლივ სიგნალებს გაჭირვების შესახებ.

პირველი საგლეხო სესხი განაღდებულია

მოსკოვი. 23 ნოემბერი. საგლეხო სესხის რეალიზაცია დასრულდა. სესხი გასაღებულია 48 მილიონი მანეთის რაოდენობით, როცა ნომინალი უდრის 50 მილიონს. განზრახულია სესხის გამოშვება განმეორებულ იქნეს მთელ რიგ წლების განმავლობაში და ეჭვს გარეშეა, რომ მომავალ კამპანიის დროს მოთხოვნილება გაცილებით უფრო მეტი იქნება.

კომკავშირის ფაბრიკა-ქარხნების უჯრედთა თათბირი.

მოსკოვი. 22 ნოემბერი. რუსეთის ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა ახლო მომავალში მოწვეული იქნეს კომკავშირის ფაბრიკა-ქარხნების უჯრედთა სრულიად საკავშირო თათბირი. თათბირზე მოწვეულია საბჭოთა კავშირის ყველაზე უფრო მსხვილ ფაბრიკა-ქარხნების 26 წარმომადგენელი.

ფეიქართა საკავშირო ყრილობა

ამხ. კუტუზოვის მოხსენება

მოსკოვი. 23 ნოემბერი. ფეიქართა სრულიად საკავშირო ყრილობის 22 ნოემბრის სხდომაზე მოსმენილ იქნა ფეიქართა კავშირის ცეკას თავმჯდომარის კუტუზოვის მოხსენება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კავშირის წევრთა რიცხვი გაიზარდა 515,000 დე. თვითეული მუშის თვიური სამუშაო ხელფასი 1922 წ. იანვრიდან 1924 წ. ივლისამდე 12 მ. 50 კაპეიკი. შრომის დაცვის საქმე ჩვენს საფეიქრო ფაბრიკებში დაყენებულია უკეთესად, ვინემ ინგლისის ფაბრიკებში. გაუმჯობესებულია აგრეთვე საფეიქრო მრეწველობის მუშათა სანიტარული და საბინაო პირობები. მიმდინარე წლის განმავლობაში განზრახულია დაახლოვებით 500 სახლის აშენება. უმუშევრობა ფეიქრებს შორის, მრეწველობის გაფართოების გამო, მცირდება.

ინგლისის დელეგაციის მისალმება

შემდეგ ინგლისის პროფკავშირთა დელეგაციის სახელით ყრილობას ესალმება დელეგაციის მდივანი ფრედ ბრამლი. ბრამლიმ აღნიშნა, რომ ინგლისის დელეგატები ხედავენ, რომ საბჭოთა კავშირის სამრეწველო დაწესებულებების ორგანიზატორები იმდენადვე ზრუნავენ მუშაზე, რამდენადაც შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე. „ჩვენ ვისურვებდით,—ამბობს ბრომლი,—ჩვენშიაც დავინახოთ ასეთი ზრუნვა მუშაზე. ინგლისი მდიდარი ქვეყანაა, მაგრამ მიუხედავად ამ სიმდიდრისა, რომელიც შექმნილია პროლეტარიატის ხელით, ინგლისის მუშათა კლასის ერთი მესამედი განიცდის საშინელ სიღარიბეს და სიძძილს. უმუშევრობა დიდია, უმუშევრებს შორის ბევრი არიან ფეიქრები, რადგანაც კაპიტალისტი მუშას აძლევს სამუშაოს მხოლოდ იმ პირობით, თუ ის უზრუნველყოფს მისთვის დიდ სარგებლობას“.

საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. კუტუზოვმა.

ამხ. ტროცკის უკანასკნელი გამოსვლის გამო

მოსკოვი, 23 ნოემბ. მთელმა რიგმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, მათ შორის უკრაინის კომპარტიის ცეკამ, ბელორუსიის კომპარტიის ცეკას ბიურომ და ახალგ. კომკავშირის ცეკამ, არხანგელსკის და ოდესის საგუბერნიო კომიტეტების პლენუმებმა, ცარიცინის მეათე საგუბერნიო პარტკონფერენციამ და სხვ. გამოიტანეს რეზოლიუციები ამხ. ტროცკის უკანასკნელ გამოსვლის შესახებ წერილში: „ოქტომბრის გაკვეთილები“. რეზოლიუციებში აღნიშნულია, რომ ტროცკი სცდილობს ხელახლა დაიწყოს პარტიული დისკუსია და სწორად არ აშუქებს როგორც ოქტომბრის რევოლიუციას მთლიანად, ისე პარტიის და კერძოთ ლენინის როლს ოქტომბრის რევოლიუციაში.

რეზოლიუციები კატეგორიულად ილაშქრებენ პარტიაში ახალ დისკუსიის დაწყების წინააღმდეგ.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აფხაზეთი.

ახალი ელექტრო-სადგური.

სოხუმი. 24 ნოემბ. სამურზაყანოს სამაზრო აღმასკომმა ხელშეკრულება დასდო „ელმაშტრესტთან“, რომლის ძალითაც სამურზაყანოში აგებული უნდა იქნეს ელექტრო-სადგური. მომავალი სადგური გაანათებს მაზრის სოფლების ნახევარს და ელექტრონის ენერგიას მისცემს ადგილობრივ ხე-ტყის ქარხნებს.

რემონტი.

სოხუმი. 24 ნოემბ. სოხუმის ნავთსადგურის რემონტი ნახევრად დამთავრებულია.

ადგილობრივი ბიუჯეტი.

სოხუმი. 24 ნოემბერი. აფხაზეთის ცაკმა და სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა ადგილობრივი ბიუჯეტი. შემოსავალი უდრის 732.248 მანეთს, გასავალი—2.456.357 მან.

აჭარისტანი

ახალი კოოპერატიული დუქნები.

ბათომი, 24 ნოემბ. აჭარის ცეკავშირი ქობულეთის მაზრის სოფელ ლეღვაში და აჭყვში ხსნის კოოპერატიულ დუქნებს.

სახალხო სახლი.

ბათომი. 24 ნოემბ. ქობულეთის აღმასკომი შეუდგა სახალხო სახლის აგებას სოფ. ბარცხანაში.

ახალი სკოლა.

ბათომი. 24 ნოემ. სოფ. ახალშენის მცხოვრებლები თავისი საშუალებებით აგებენ სკოლას. სკოლას. აგება ჩქარა დამთავრდება და ის გახსნილი იქნება ახლო მომავალში

გლეხკომის ქარხანა

ბათომი. 24 ნოემ. ქობულეთის გლეხკომმა გახსნა აგურის და კრამიტის ქარხანა.

აზერბეიჯანი

საჰაერო მიმოსვლა სპარსეთთან.

ბაქო. 24 ნოემ. ბაქოში ჩავიდა ბაქო-თეირანის საჰაერო ხაზის მთავრობის კონტროლიორი რაივიმერ. პრესის წარმომადგენლებთან საუბარში მან განაცხადა, რომ წელს გაიხსნება ხაზი ბაქო-ენზელი-თეირანი, რომელზედაც იმუშავებს ხუთი თვითმფრინავი „იუნკერს“-ის სისტემის. „იუნკერს“-თა მიმოსვლის ცხრილი შეთანხმებული იქნება ბაქოში გამვლელ ჩქარი მატარებლების ცხრილთან. გზა მოსკოვიდან ბაქომდე, სიგრძით 22000 ვერსი, თვითმფრინავებმა გაიარეს 20 საათში და 20 წუთში.

სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმი

ბაქო 24 ნოემბ. დამტკიცებულ იქნა ბაქოში სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმის აშენების პროექტი [illegible] აშენებისათვის საჭირო ხარჯთ-აღრიცხვა 506.000 მან. რაოდენობით.

გაზეთ „ტრუდ“-ის სამი წლის თავი

ბაქო. 24 ნოემბ. გაზეთ „ტრუდ“-ს, მისი არსებობიდან სამი წლის შესრულების გამო, მრავალი მისალმებები მოსდის პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებისაგან.

ბამბის დამზადება

ბაქო. 24 ნოემ. სეზონის დაწყებიდან 15 ნოემბრამდე დამზადებულია 1,156,000 ფუთი ბამბა, დასამზადებლად განზრახული რაოდენობის 3 პროც.

პარტიული ცხოვრება

თბილისის ორგანიზაციის სტრუქტურა და შემადგენლობა

(თბილისის მომავალი პარტკონფერენციისათვის)

თბილისის ორგანიზაციის სტრუქტურა თავის ძირითად ნაწილში (რაიონებათ დაყოფა) უცვლელათ დარჩა. მნიშვნელოვანი ცვლილებებია შეტანილი მხოლოდ ორგანიზაციის უჯრედების რიცხვში და პარტიის წევრების და კანდიდატების შემადგენლობაში. ექვსი თვის განმავლობაში უჯრედების რიცხვი ქალაქის ორგანიზაციაში გაიზარდა 15-ით, ამასთანავე ზრდა სწარმოებდა, უმთავრესათ, პირველ და მეორე რაიონში. ეს აიხსნება იმით, რომ ლენინელების მთავარი მასა მიღებული იყო პირველი და მეორე რაიკომების მიერ. უჯრედების რიცხვობრივი ზრდა სწარმოებდა, უმთავრესათ, საწარმოო უჯრედების ხარჯზე. პირველი მაისისათვის ჩვენ გვქონდა 34 საწარმოო უჯრედი, პირველი ოქტომბრისათვის კი—52.

სამაზრო ორგანიზაციის სტრუქტურა შეიცვალა იმ მხრივ, რომ ასურეთ-ალბულაღის რაიონი გაყოფილი იყო ორ ნაწილათ და მოწყობილი იქნა ორი დამოუკიდებელი რაიონი.

სულ გვაქვს 6 სამაზრო რაიკომი 25 უჯრედით, რომლებშიაც ითვლება პარტიის 200 წევრი.

მაზრის ნაწილები, რომლებიც ახლო დამოკიდებულებაში არიან ქალაქის ორგანიზაციასთან, შემდეგნაირათ არიან დანაწილებული რაიონებს შორის:

ყოფ. ავჭალის თემი (5 უჯრედი, 186 წევრი) მიმაგრებულია ლენინის რაიონზე.

ყარაიას რაიონი და თელეთის თემი (3 უჯრედი, 25 წევრი)—ავლაბარ-ხარფუხის რაიონზე.

ყოფ. წყნეთის, დიღომის და კოჯორის თემები (1 უჯრედი, 10 წევრი)—ქალაქის რაიონზე.

ავჭალაში და ყარაიაში, როგორც საკმაოთ მსხვილ და დაშორებულ რაიონებში, შექმნილია ქვერაიონები.

ამრიგათ, თბილისის მთელ ორგანიზაციაში ითვლება: 10 რაიონი, 2 ქვერაიონი და 161 უჯრედი.

თბილისის ორგანიზაციის შემადგენლობაში, უმთავრესათ, ქალაქის ორგანიზაციის შემადგენლობაში გასული წლის განმავლობაში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები.

უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ორგანიზაციის რიცხვობრივ შემადგენლობაში, რომელიც ერთი წლის განმავლობაში გაიზარდა 2662 წევრით და კანდიდატით, ე. ი. 87 პროც. მთელ ორგანიზაციასთან შედარებით.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს ზრდა ხდებოდა, უმთავრესათ, პარტიაში ახლათ მიღებულ კანდიდატების—მუშების ხარჯზე, რომელთა რიცხვი ორგანიზაციაში ნახევარი წლის განმავლობაში გაიზარდა 2487 კაცით, ე. ი. 131 პროც. აღნიშნული პროცენტი მთლიანათ შესდგება დაზგასთან მდგომ მუშებისაგან, რადგან მხოლოდ მათ შეეძლოთ პარტიაში შესვლა. პარტიის წევრთა მთელ მასასთან შედარებით მუშები შეადგენენ 75,1 პროც., აბსოლიუტურათ კი მათი რიცხვი უდრის 4304 კაცს.

ნაციონალური შემადგენლობით თბილისის ორგანიზაცია იძლევა შემდეგ სურათს ციფრებში:

ქართველები—2141 (37,4 პროც.)
სომხები —1620 (28,3 პროც.)
რუსები —1229 (21,4 პროც.)
სხვა ერები — 741 (12,9 პროც.)

მოყვანილი ციფრები ამტკიცებენ, რომ ყველა ეროვნებანი სავსებით ნორმალური პროცენტით არიან წარმოდგენილი თბილისის ორგანიზაციაში. ჩვენ აქ ეროვნებათა ისეთ შეფარდებას ვხედავთ, როგორსაც ადგილი აქვს თბილისის მუშათა კლასში:

ქართველები—36 პროც., სომხები—31,7 პროც., რუსები—21,8 პროც. და სხვა ეროვნებანი—10,5 პროც.

პარტიული სტაჟის მიხედვით თბილისის ორგანიზაცია შემდეგ სურათს წარმოადგენს: ორგანიზაციის ძირითადი მასაა—პარტიაში ახლათ მიღებული კანდიდატები, რომლებიც 1924 წელში შევიდენ პარტიაში. ისინი შეადგენენ 46,2 პროც., მათ შემდეგ მოდიან ის ამხანაგები, რომლებიც პარტიაში შევიდენ 1917—20 წლების განმავლობაში—29,6 პროც.; შემდეგ—ისინი, რომლებიც პარტიაში მისული არიან საქართველოს გასაბჭოების შემდეგ (1921 წლიდან 1923 წლამდე)—19,6 პროც. და 4,5 პროც. შეადგენენ არალეგალური მუშაკები, რომლებიც შესული არიან პარტიაში 1905—1917 წლამდე. სხვა პარტიებიდან გადმოსულები მთელს ორგანიზაციასთან შედარებით შეადგენენ 9,5 პროც.

ასეთია თბილისის ორგანიზაციის სტრუქტურა და შემადგენლობა.

ეკონომიური ცხოვრება

საკავშირო სახელმწიფო ბანკში.

თათბირი საბანკო საქმეების შესახებ.

18 ნოემბერს სახელმწიფო ბანკის ამიერ-კავკასიის განყოფილებაში ამხ. [illegible]ვსიუკის თავმჯდომარეობით შესდგა თათბირი საბანკო საქმეთა შესახებ. თათბირმა მოისმინა და მიიღო სახელმძღვანელოთ მოსკოვის საბანკო კომიტეტის მიერ გამომუშავებული დებულება ადგილობრივ საბანკო თათბირების შესახებ. კრებამ განიხილა აგრეთვე საკითხები: 1) კოოპერატივების გაპროტესტებულ თამასუქების, 2) მეგობრულ თამასუქებისა და 3) ხორცის დამზადებისათვის კრედიტის გაღების შესახებ.

პირველ საკითხზე თათბირმა დაადგინა არავითარ შემთხვევაში არ მიიღოს გაპროტესტებულ ორგანიზაციების თამასუქები მანამდე, ვიდრე ისინი არ მოიხსნიან პროტესტს. ეთხოვოს შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატს მოხსენების წარმოდგენა კოოპერაციის ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ და კოოპერაციის წარმომადგენლებთან ერთად გამომუშავებულ იქნეს კოოპერაციისა და საკრედიტო დაწესებულებათა თანამშრომლობის გეგმა.

მეგობრულ თამასუქების შესახებ თათბირმა დაადგინა გასწიოს სასტიკი ბრძოლა ამ სახის კრედიტის წინააღმდეგ.

ხორცის დამზადებისათვის თათბირმა საჭიროთ სცნო დამატებითი ფინანსების გაღება, მაგრამ იმ პირობით, რომ წინასწარ გათვალისწინებული იქნება ხორცის დამამზადებელ ორგანიზაციების მიერ შესრულებული მუშაობა და მათი ფინანსიური უნარიანობა. ამ მიზნით თათბირი ავალებს შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატს სათანადო მოხსენების წარმოდგენას.

ბრძოლა მეგობრულ თამასუქების წინააღმდეგ.

შემჩნეულია, რომ სამეურნეო ორგანიზაციები და, კერძოთ, კოოპერაციი საბანკო კრედიტის მიღების მიზნით ფართოთ სარგებლობენ ეგრედწოდებულ მეგობრულ თამასუქებით. ასეთი თამასუქები დიდ საფრთხეს წარმოადგენენ საბანკო კრედიტისათვის, რადგან უსპობს უკანასკნელს იმ ნივთიერ უზრუნველყოფას და დროულათ გადახდის გარანტიას, რომლის პირობას წარმოადგენს სავაჭრო თამასუქის ნივთიერი ბაზა.

სავაჭრო (ანუ საქონლის) თამასუქის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი არის ნივთიერ ღირებულების ყიდვა-გაყიდვის შედეგი. რომელიმე პირი ან დაწესებულება სავაჭრო თამასუქს იძლევა ნაღდი ფულის ნაცვლათ იმ შემთხვევაში, როდესაც ნაყიდი საქონლის საფასური მას ყიდვის მომენტში არ მოეპოვება. ამ შემთხვევაში საქონლის მომავალი რეალიზაცია შესაძლებელს ხდის თამასუქის გამოყიდვას, ხოლო ბანკის როლი ასეთი თამასუქის შესყიდვისას იმაში მდგომარეობს, რომ იგი (ბანკი) საშუალებას იძლევა სავაჭრო გარიგების დაუყოვნებლივი შესრულებისა და ახალი ვაჭრო ან საწარმოო ბრუნვის და ბისათვის. ამგვარათ, ბანკის კრე ტი, როდესაც იგი გაიცემა სავა თამასუქის ნაცვლად უზრუნველყო ლია თამასუქის ნივთიერი საფუძ ე. ი. ნაყიდი საქონლით. მეგობ ლი თამასუქი კი მოკლებუ ასეთ საფუძველს. იგი უზრუნ ყოფის გარეშე სტოვებს საბა კრედიტს და მით აფერხებს ბა სამსახურს რეალურ აღებ-მიცემ თვის. გარდა ამისა ისეთი თამ ქების დაგროვება ბანკის პორტ ში, რომელთა განაღდება არაფ არ არის უზრუნველყოფილი, ა ტებს ჩერვონეცის მატერია ბაზისს, რადგან ჩერვონცების გან ღვრული ნაწილი უზრუნველყო ლია ბანკის მიერ მიღებულ სავა თამასუქებით.

ზემოხსენებულ მოსაზრებებით მ კოვის საბანკო კომიტეტმა დაადგ აუკრძალოს საკრედიტო ორგ ზაციებს მეგობრულ თამასუქების ღება. იგივე ზომა მიღებულია ამ კავკასიაშიაც ადგილობრივ საბა საქმეთა თათბირის დადგენილებით

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმი.

დღეს, საღამოს 5 საათზე [illegible] გ. ინ სექციის შენობაში გაიხსნება საკონტროლო კომისიის პლენუმი.

დღის წესრიგი:

1) მოხსენება საქართველოში მომხდარ ამბების და ც. კ. და ც. კ. შეერთებული სხდომის მიერ მიღებულ ღონისძიებათა შედეგ შესახებ.
2) მოხსენება ადგილებიდან ც. ს. კ. რწმუნებულების მაზრებში ავტონომიურ რესპუბლიკებში.
3) ინფორმაციული მოხსენება რ. კ. პ. ც. ს. კ. პლენუმის მუშ ბის შესახებ.
4) ინფორმაცია ც. ს. კ. მუშაობის შესახებ.
5) ინფორმაცია ც. ს. კ. პარტკოლეგიის მუშაობის შესახებ.
6) სახელმწიფო მომარაგებაზე მყოფ მუშა-მოსამსახურეთა ხელ სის და დავალიანების შესახებ.
7) ინფორმაცია საბჭოთა და უმაღლ. სასწავლებლების კომ-უჯ დების არაპროლეტარულ ელემენტებისაგან გაწმენდის შესახებ.
8) მიმდინარე საკითხები.

ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა

ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის პლენუმი

დანიშნულია 28 ნოემბრისათვის.

დღის წესრიგი:

1) ინფორმაცია რ. კ. პ. ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო მისიის პლენუმების მუშაობის შესახებ.
2) ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის პრეზიდიუ მოხსენება.
3) ა. | კ. ს. ს. კ. პარტკოლეგიის მოხსენება.
4) კავკასიის წითელდროშოვან არმიის პარტიული კომისიის მოხ ება.
5) რესპუბლიკანურ საკონტროლო კომისიების მოხსენებები.
6) უჯრედების არა პროლეტარულ შემადგენლობის გასინჯვის სახებ.
7) პარტიული ეთიკის შესახებ.

ა. | კ. საოლქო საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე **ნაზარეტიან**

რა სტკივა საქართველოს?

გ.

არც შეიარაღებული გამოსვლებით, არც ლეგალური საშუალებებით

წინა წერილში მე ვთქვი, რომ არ შეიძლება პრინციპიალურ საერთაშორისო ომს აწარმოებდე, ამა თუ იმ სახელმწიფოსაც იბრძოდე ომში და ამავე დროს თანამშრომლობის ნიადაგზე იდგე ძალაუფლებასთან

ამას წინეთ ჩემ მიერ მოყვანილ თეზისებში კი ძალიან გულდასმითი ლაპარაკია ამისთანა თანამშრომლობაზე: უნდა ვიმუშაოთ იმ „თუმცა მცირე“ კულტურულ-ეკონომიური აშენებლობის ასპარეზზე, რომელიც აქ ახლა გვაქვს, უნდა ვიმუშაოთ არა პოლიტიკური კაპიტალის შესაძენათ, არამედ საქმიანი ნაყოფის გამოსაღებათ, არ უნდა შეგვაფიქროს იმ გარემოებამ, რომ ნაყოფიერი საქმე გაკეთდება საბჭოთა ძალა-უფლების ხელქვეშ, სულ ერთია რომელი მთავრობის ხელშიაც გაკეთდება, ოღონდ კი გაკეთდეს, რაც გასაკეთებელია.

თეზისების ავტორი გულწრფელათ დგას ამ თანამშრომლობის ნიადაგზე, თუმცა „პრინციპიალური საერთაშორისო ომის საშუალებით“ სცდილობს ჩამოაგდოს იგივე ძალა-უფლება. აქ წინააღმდეგობა არ არისო, ამბობს, ეს სავსებით შეწყობილი და შინაგანით შეთანხმებული ხაზი იქნება პოლიტიკისო, ფიქრობს.

ექვსი თვის წინეთ მე დავაყენე საკითხი „პრინციპიალური“ ომის და შეიარაღებული გამოსვლების წინააღმდეგ არა მარტო იმიტომ, რომ ეს მიზანშეუფერებელია, არა მარტო იმ მოსაზრებით, რომ ეს ხაზი ჩვენ ვერ მიგვიყვანს გამარჯვებისკენ, ვერ ჩამოგვაგდებინებს ძალა-უფლებას. მე ვამბობდი, რომ საბჭოთა ძალა-უფლებას არ ჰყავს, არ ეყოლება უკეთესი მემკვიდრე რუსეთში და, მაშასადამე, არც საქართველოში, რევოლიუციონური პარტია კი უნდა იბრძოდეს უკეთესი პირობებისთვის და არა უარესისთვის.

არ შეიძლება მიზნათ ისახავდე საბჭოთა ძალა-უფლების ჩამოგდებას ამ საერთაშორისო პირობებში, როცა იმარჯვებს რეაქცია. მაკდონალდის სასტიკი დამარცხება ინგლისში, მემარჯვენე ძალების მოწოლა გერმანიაში, ათასნაირი სიძნელე ერიოს მთავრობის წინაშე საფრანგეთში,—ყოველივე ეს მოწამეა იმისა, რომ დემოკრატიული სახელმწიფოებრივობა ამ სიტყვის ბურჟუაზიული მნიშვნელობით ფეხს ვერ იკიდებს ევროპაში.

აი, ამისთანა პირობებში, ვიმეორებ, რევოლიუციონური პარტია მიზნათ ვერ დაისახავს საბჭოთა ძალაუფლების ჩამოგდებას. და თუ მისი ჩამოგდება მე არ მინდა საერთოთ, რასაკვირველია არ მენდომინება არც შეიარაღებული აჯანყების გზით, არც ე. წ. ლეგალური საშუალებებით.

ჩემს მოხსენებაში, რომელიც სრულადაა მოთავსებული კომუნისტურ გაზეთებში და რომლის სტენოგრამაც ხელში მაქვს, მე დავიმოწმე ხელმძღვანელი კომუნისტები. თითონ ისინი ამბობდენ გაცილებით ადრე ჩემს მოხსენებამდის და ჩემ წერილებამდის, რომ მმართველი პარტია ვერ დაუახლოვდა, როგორც უნდა, უპარტიო მუშა-გლეხთა წრეებს და ეს იყო ერთ-ერთი სარჩული შეიარაღებული გამოსვლებისა.

მე ვთქვი ამაზე, რომ ძალაუფლება ვერ დაუახლოვდება ხალხს, ხალხი ვერ დაუახლოვდება ძალაუფლებას, თუ ერთი-მეორესთან დამოკიდებულება მარტო შიშზე იქნება დამყარებული და სხვაზე არაფერზე. ზოგიერთ კალმოსნებს გამოაქვთ აქედან ის დასკვნა, რომ მე ლეგალური საშუალებებით ვაპირებ ძალაუფლების ჩამოგდებას. ამისთანებთან ლაპარაკი მართლა მგლის თავზე სახარების კითხვაა.

ხელში მაქვს აგერ მოსკოვის გაზეთი „Известия“ (Ц. И. К. С. С. С. Р.) ვკითხულობ ერთ წერილში:—„ერთ-ერთი უარყოფითი მოვლენა ჩვენ სინამდვილეში ის არის, რომ ადგილობრივ არ ემორჩილებიან ცენტრალური ძალაუფლების დადგენილებებს, ხალხი ვერ ეჩვევა ამიტომ რევოლიუციონურ კანონიერებას, ხალხის ფართო წრეებში ფეხს ველარ იკიდებს ეს კანონიერება. ქალაქშიაც აქვს ადგილი ამას, სოფელშიაც, მაგრამ ქალაქის მცხოვრებს კიდევ შეუძლია ასე თუ ისე გამოესარჩლოს თავის თავს, სოფელი კი გაცილებით უფრო უკულტუროა და უმწეოთ რჩებაო“ („Известия“ 5 ნოემბერი 1924 წ.).

აქაური გაზეთი—„მუშის“ „მხატვარი“ თავის გუნებაში შეეკითხება ალბათ ამოწერილი სტრიქონები ავტორს: საით.., და იმის მაგივრათ უპასუხებს თავის თავს:—მეც არ ვიცი საითო.

მე ძალიან კარგათ ვიცი, საით უნდა წავიდეს მმართველი პარტიის პოლიტიკა, რომ მიზნათ არავინ ისახავდეს ძალაუფლების ჩამოგდებას არც არალეგალური და არც ლეგალური საშუალებით. მმართველმა პარტიამ უნდა აიცილოს ის ნაკლი, რომელსაც უფრო თამამად აღნიშნავენ ხოლმე მოსკოვის გაზეთები, რომელზედაც უფრო გაბედვით ულაპარაკნია სტალინს მოსკოვში საქართველოს უკანასკნელ ამბების გამო.

ძალაუფლების და უპარტიო მშრომელი ხალხის დაშორება ერთიმეორისაგან საერთო მოვლენაა მთელ საბჭოთა კავშირში. კერძოთ საქართველოში ეს მოვლენა არ აიხსნება მარტო იმითი, რომ აქ საზღვარ-გარეთისაკენ უკავიათ თვალი. ერთ-ერთი მიზეზი ამ მოვლენის ისიც არის, რომ ძალაუფლების პატარა ამსრულებლები ხალხს ვერ იახლოვებენ, ვერ ჰქმნიან დაახლოების პირობებს და მარტო დაშინებაზე ამყარებენ თავის დამოკიდებულებას უპარტიო ხალხთან.

როცა აშინებ, ალბად შენც გეშინია, როცა ვერ იახლოვებ, ალბათ ვერც შენ უახლოვდები, როცა ვერ ინდობ, ალბად შენც ვერ ენდობი.

ერთი-მეორის მიუკარებლობა კი შეჰქმნის ისეთ ნიადაგს, რომელიც არასოდეს არ გამოვა რევოლიუციონური კანონიერების ხელშემწყობი.

ენგელსი სწერდა მარქსს იმ ურთიერთობის შესახებ, რომელიც შეიქმნა საფრანგეთში დიდი რევოლიუციის დროს:—Man bekommt bei diesen ewigen kleinen Paniks der Franzoesen—die alle aus der Angst vor dem Moment hervorgehen in dem man endlich die Wahrheit erfahren muss—eine viel bessere Idee von der Schrekens-herrschaft. Wir verstehen darunter die Herrschaft von Leuten, die Scheken einflössen; umgekehrt, es ist die Herrschaft von Leuten, die selbst erschrocken sind. La Terreur das sind grossenteils nutzlose Grausamkeiten, begangen von Leuten, die selbst Angst haben, zu ihrer selbstbehuhigung.—როცა ეს წარამარა, ყოველ წვრილმანებზე ეშინია საფრანგეთის ხალხს, როცა ეს ხალხი ყოველ წუთს შიშით არის ატანილი, მაშინ ადვილად ეცნობი შიშზე დამყარებულ ძალაუფლებას. ვითომ აშინებენ, მაგრამ თითონ ეშინიათ. ტერორი უაზრო მკაცრობაა, და უმეტეს ნაწილად, ამას სჩადიან ისინი, ვისაც ეშინიათ, ვინც თავს იმშვიდებენო.

ძალა-უფლების პატარ-პატარა წარმომადგენლები შიშით ჰქმნიან სიყვარულს ძალაუფლებისადმი. მაგრამ ამისთანა „სიყვარული“ ვერ გაუბედავს საძირკვლად ძალაუფლების და ხალხის ერთი მეორესთან დაახლოებას.

რაც უნდა ილაპარაკოს ერთმა მხარემაც და მეორემაც, საჭიროა დაახლოება და თანამშრომლობაო, მიზანი მიუღწეველი დარჩება, თუ საბჭოთა პლატფორმაზე დამდგარ მშრომელი ხალხის ფართო წრეებს არ მიეცა თვითმოქმედების ასპარეზი. თვითმოქმედება კი მოითხოვს საქმიანი ორგანიზაციების შესაძლებლობას.

უპარტიო წრეებს ვერ დაიახლოვებ მარტო იმითი, რომ ვინმე უპარტიოს დააყენებ ამა თუ იმ აღმასკომის თავმჯდომარედ, ან საბჭოებში აირჩევ რამოდენიმე პროცენტს უპარტიოებისას. ეს სანახევრო ზომა გათავდება ასე დაყენებული და არჩეული უპარტიო პირების ჩამოშორებით უპარტიო ხალხისაგან.

ე. წ. საბჭოთა საზოგადოებრივობის საკითხი დიდი ხანია დგას დღის წესრიგში. მმართველი პარტიის პრესაში ბევრი იწერება ამის შესახებ. საზოგადოებრივი ორგანიზაციების შექმნა სხვადასხვა კულტურულ-ეკონომიურ საჭიროების ნიადაგზე—ეს არის ერთად ერთი საშუალება ძალაუფლების და უპარტიო წრეების ერთმანეთთან დაახლოების. თუ ეს საკითხი არ გადიჭრა პრაქტიკულად, უპარტიო ხალხს ისევ შიში და დაშინება ექნება ხიდათ ძალაუფლებასთან.

ამ საკითხის გადაჭრა გააადვილებს საქართველოს მტკივანი ადგილების მორჩენას. ერთ-ერთი მტკივანი ადგილია, როგორც ვამბობდი, გაეროვნება. ძნელია, რა თქმა უნდა, გატარება ამ გაეროვნების, როცა ქართველი კაცი „გაღმა“ იყურება. მაგრამ ვიტყვი კიდევ და კიდევ, ძალაუფლების საქმეა „გაღმა“ ყურების მადა დაუკარგოს ქართველ კაცს. მადას კი ადვილად დაუკარგავს, თუ გულდაჯერებულად ჩააბამს საამშენებლო საქმეში

ძალაუფლება ფიქრობს, რომ ამ მხრივ ყველაფერი თავის რიგზეა ჩვენში, არ. რუხაძეს მოჰყავს პროფესიონალური კავშირების ციფრები. გამოჰყავს, რომ საქართველოს პროფესიონალურ კავშირებში ქართველები მეტია, ვიდრე სომხები და რუსები.

რა დიდი საქმეა, რომ მთელ საქართველოში მეტი იყვნენ ქართველები, როცა კავშირებში ირიცხებიან ქალაქელი და სოფლელი მუშებიც. საქართველოს სატახტო ქალაქია თბილისი და აქ არის საჭირო პროფესიონალურ კავშირების ეროვნულ შემადგენლობაზე თვალის გადავლება *).

მეტყავეთა კავშირში:
ქართ.—25,6 პროც., სომ.—60,8 პრ.
მელითონეთა კავშირში:
ქართ.—26.9 პროც. სომ.—29,4 „
გემოკვების კავშირში:
ქართ.—31,7 პროც., სომ.—40,4 „
მკერავთა კავშირი:
ქართ.—23,1 პროც., სომ.—57,1 „
ხელოვნების მუშკავშირში:
ქართ.—19,0 პროც., სომ.- -21,8 „

ამავე ანგარიშში, სადაც ეს ციფრებია მოყვანილი, ჩვენ ვკითხულობთ: 8 კავშირში ყოფილა ქართველები—50 პროცენტზე მეტი, 11 კავშირში—25 პროცენტზე მეტი, დანარჩენში—25 პროცენტზე ნაკლები.

ერთი სიტყვით, მეტ წილ კავშირებში ქართველები შეადგენენ უმცირესობას—50 პროცენტზე გაცილებით ნაკლებს.

პროფესიონალური კავშირები 1923—1924 წ. წ.

მთლიანი მუშათა კოოპერატივი დიდი ხანია ელის გაეროვნებას. ვერ ეღირსა მას ამ მოლოდინის განხორციელება. საქმის წარმოება არ იქნა არ მოეწყო ქართულ ენაზე. ვთქვათ ეს არ შეიძლება ასე მალე. მაგრამ რას ნიშნავს შემდეგი სურათი.

ამას წინეთ იქ გაგზავნილი იყო პიმენ რამიშვილი. ის დაუშვიათ სამუშაოთ, როგორც კარგი მოუშავე. მერე მთავარ ბუხჰალტერს გაუგზავნია სართიჰალაში, შემდეგ ისევ გადმოუყვანიათ ცენტში. ცენტრალური ბუხჰალტერიიდან გადაუყვანიათ სავაჭრო ნაწილში, იქიდან არა სავაჭროში, მერე ისევ ცენტრალურ ბუხჰალტერიაში, ბოლოს სულ გაუნთავისუფლებიათ სამსახურიდან, იმის მაგივრად მიუღიათ მედვედიევი. ეს გაშვება და მიღება მომხდარა ერთი კვირის განმავლობაში.

15 თანამშრომელში ამას წინეთ მიღებული ყოფილა სამი ქართველი, ისინიც დაუთხოვიათ ერთი თუ ორი კვირის შემდეგ, დარჩენილა 12 სომეხი, ესენი დღესაც მსახურებენ.

ბამბის მთავარ კომიტეტში (ГЛАВХЛОПКОМ) 15 ნოემბრისთვის ყოფილა შემდეგი სურათი ეროვნული შემადგენლობის:

ქართველები, სომხები, თათრები—23.

რუსები—41.

მაგალითები სხვაც ბევრია. ბევრია თავიდან მოსაცილებელი წვრილმანები გაეროვნების საკითხში. მე კარგათ მესმის, რომ ეს უნდა მოხდეს თანდათანობით, უმტკივნეულოთ. ნურავინ [illegible] მხოლოთ, რომ ყველაფერი გაკეთებულია, ნურავინ დასვამს კითხვით-გაკვირვებით ნიშანს „მაშ რაზეა ლაპარაკიო“.

მე კარგათ მესმის ისიც, რომ პრინციპიალური, საერთაშორისო ომი ხელს ვერ შეუწყობს გაეროვნებას, პირიქით, უფრო აგვიტკივებს ამ მტკივან ადგილს. მე ვებრძვი ამ „პრინციპიალურ“ ომის ტაქტიკურ „ხაზს“, რომ ქართველს არ უძნელდებოდეს საამშენებლო მუშაობაში ჩაბმა, რომ ინტერნაციონალიზმი საქართველოში არ ნიშნავდეს ქართველობის უმცირესობათ გადაქცევას.

ძალაუფლება, რომელსაც არ ა საფუძველი ეშინოდეს „პრინცი ლური საერთაშორისო“ ომის, იჩენდეს მეტ ნდობას ქართველი მენტების მიმართ და ნდობით ა ცხბდეს თავის მოწინააღმდეგე შეურიგებლობას. შეურიგებლ უნდობლობა, მიუკარებლობა სა ლია იმ ურთიერთობის, რომელ ფესვი არ უმაგრდება რევოლიუ ნურ კანონიერებას და კანონი რჩება კანონს გარეშე.

ს. დევდარიან

---

*) ს. პროფესიონალური კავშირები 1923—1924 წ. წ.

რა სტკივა სეით დევდარიანს?

ს. დევდარიანი მეხუთე წერილს უძღვნის საქართველოს სატკივარს. ის მეხუთეჯერ სცდილობს დიაგნოზი გამოუნახოს საქართველოს სნება-ავადმყოფობას და თან სამკურნალო საშუალებებზედაც მიუთითებს.

მარა საქართველოს მკურნალის როლი არ უდგება და არა სეით დევდარიანს. მთელი მისი ჯაფა და პანწყვეტა უკეთეს შემთხვევაში უნაყოფო იყო და არის. ამის საიდუმლოება დამალულია იმ გარემოებაში, რომ თვით საქართველოს მკურნალი დასნეულებულია, თვით მკურნალს ესაჭიროება მკურნალობა და მორჩენა, რამდენათაც ეს კიდევ შესაძლებელია, რასაკვირველია.

სნება-ტკივილები კი ს. დევდარიანს მრავლის უმრავლესი გააჩნია, ზოგი მემკვიდრეობითი, ზოგიც კეთილშეძენილი: მარტო უკანასკნელ მის წერილს რომ ჩააკვირდეთ, ოციოდე მაინც აღინიშნება. ჩვენი გაზეთი სადოსტაქრო ორგანო არ არის, რომ ს. დევდარიანის მთელი პათოლოგია გადმოვალაგოთ; ჩვენი მკითხველისათვის საკმარისი იქნება რამდენიმე მისი მუწუკ-მეჭეჭის ჩვენება.

როგორც ვთქვი ს. დევდარიანის, პათოლოგიაში ზოგი რამ მემკვიდრეობითია, მენშევიზმის საუნჯიდან მიღებული და დევდარიანის მიერ სასოებით მომარაგებულ-დაცული, ზოგიც—მის მიერ „აღმოჩენილი“ და კეთილშეძენილი.

მთავარი სნება-ტკივილი ს. დევ რიანის გამოიხატება იმაში, რომ „ულვთოთ“ ურევს ერთმანეთში ნაირ საგანძურს და ბოლოს და ლოს მენშევიკურ სკივრში უ თავს.

მაშასადამე, ჩვენმა მკურნა ჯერ თითონ უნდა განიკურნოს იმ სენისაგან, რომელსაც ჰქვია შევიზმი, და შემდეგ უექიმოს სა თველოს, რომელსაც ჯერ კიდევ შინლად სტკივა მენშევიზმისაგან ხამული და დასერილი ორგანო

მხოლოდ ამ თვითწამლობის თვითმორჩენის შემდეგ შეიძლება რი იმაზე, რომ ს. დევდარიანი ძლევს საკუთარ, კეთილშეძენილ ლებას, რაც ასე ჰარბათ აჭკი მის და აქეთ-იქით აბარბაცებს რომ წინამძღოლობაზე და სხვის მძღვანელობაზე კი არა, საკუ ფეხის ნაბიჯის სიმტკიცეზე ზრუნავდეს დღე და ღამ ჩვენი მ ნალი.

აი, მაგალითად, ს. დევდ დღეს ირწმუნება, რომ ის არ ფ საბჭოთა ხელისუფლების დამ არც შეიარაღებული აჯანყებ და არც ლეგალური საშუალებით ქველმოქმედების გუნებაზე დამდგარა ს. დევდარიანი, რომ ევროპაში რეაქცია იმარჯვებს, იქ „დემოკრატიული სახელმწ რივობა, ამ სიტყვის ბურჟუ

ბრძოლა ბოროტმოქმედებასთან ჩვენს დაწესებულებებში

საბჭოთა ზოგიერთ მუშაკის დაპატიმრების გამო

(საუბარი იუსტიციის სახალხო კომისარ. ამხ. ვარძიელთან).

ამ რამოდენიმე დღის წინად დააპატიმრეს საბჭოთა დაწესებულება-წარმოების რამოდენიმე თანამშრომელი. ამის შესახებ ჩვენ თანამშრომელთან საუბარში იუსტიციის სახალხო კომისარმა ამხ. ვარძიელმა განაცხადა შემდეგი.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის ზოგიერთი თანამშრომელის დაპატიმრება, რომელთა შორის არიან საპროკურორო მეთვალყურეობის თანამდებობის ამსრულებელნიც, გამოწვეულია საქართველოს საგანგებო კომისიასა და იუსტიციის სახალხო კომის. პროკურატურის განყოფილებაში მიღებული ცნობებით იმის შესახებ, რომ ზემოხსენებული თანამდებობის პირნი სასამართლოს პროცესით დაინტერესებულ პირთა ზედმოქმედებით გავლენას ახდენდენ, ხოლო ზოგიერთს მათგანს გავლენა უნდა მოეხდინა სასამართლოს პროცესის მსვლელობაზე.

ძალიან ძნელია იმის თქმა, განაგრძობს ამხ. ვარძიელი, გამართლდება თუ არა ყველა დაპატიმრებულ პირთა შესახებ მიღებული ცნობები. ამ საკითხს ნათელს მოჰფენს გამოძიება, რომელიც მოკლე ხანში დასრულდება. ჯერ-ჯერობით კი ბრალდებულთა და მოწმეთა პირველი დაკითხვით დადასტურებულ იქნა ამ ცნობების ნაწილის სინამდვილე.

არა ერთხელ შეხვედრიათ მზგავსი საქმეები საგანგებო კომისიას და ჩვენს სამოსამართლო დაწესებულებებს.

თავის თავად ცხადია, ნეპმანთა წრიდან გამოსული საქმეში კარგათ „გაცდილი გმირები", პროფესიონალური შუამავალნი, ბნელ საქმეებში ხელგასვრილნი, გარეწარნი „თავის ინტერესების" დაცვის დროს არ შეჩერდებიან ისეთი ღონისძიების წინაშე, როგორიც არის საბჭოთა სუსტ და მერყევ მუშაკების, მათ შორის,—თვით სასამართლოს და პროკურატურის თანამშრომლების სხვადასხვა საშუალებით მიმხრობა და მოსყიდვა თავის ბნელი გეგმების მოსაპახრაკებლად.

იმ თანამშრომელთა ბინებზე სიარული, რომელთაც შეუძლიათ ასე თუ ისე გავლენა მოახდინონ საქმის მსვლელობაზე, მათი მოხერხებულ ალაგზე,—რესტორანსა და სარდაფში ჩაპატიჟება „ერთს ჭიქა ღვინოზე" ტკბილ-მეგობრულ მუსაიფის გასამართავად, ახლობელ „მეგობართა და ნაცნობთა" მიგზავნა, „განსაკუთრებულ პატივისცემის და მეგობრობის" ნიშნად საჩუქრების მირთმევა — „ნეპმანების" ხელში მეტად საიმედო საშუალება და ნაცადი ხერხია, რომლებითაც ისინი სცდილობენ მოინადირონ ჩვენი საბჭოთა დაწესებულებების მერყევ და ნაკლებათ შეგნებულ მუშაკთა „გრძნობა და გული".

ზოგიერთი ჩვენი სამეურნეო და სახელმწიფო ორგანოები დაავადმყოფდენ „ნეპმანთა" გამხრწნელი გავლენით, რომელიც განსაკუთრებით იერია სამეურნეო დაწესებულებებში, სადაც „ნეპმანთა" მიერ გავლენის მოსახდენად ხმარებულ ზემოაღნიშნულ მეთოდებს ზედერთვის კიდევ აშკარა საზარალო ხელშეკრულების დადება, ყალბი საბუთების შედგენა, სახელმწიფო ქონების გატაცება-გაფლანგვა, მითვისება და სხვა „საგმირო"—საქმეები.

საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესები **მოითხოვენ სასტიკ ბრძოლას** მზგავს მოვლენებთან. გათავხედებულ ნეპმანების „შავი მოსაქმეების", პროფესიონალურ შუამავალთა წინააღმდეგ, რომელნიც აკვარახჭინებენ თავის ბნელ საქმეებს და ამით ძირს უთხრიან საბჭოთა ხელისუფლების კულტურულ სამეურნეო საქმიანობას, სწარმოებდა და შემდეგშიაც იწარმოებს დაუნდობელი ბრძოლა.

საბჭოთა ხელისუფლება არ დაინდობს დაწესებულება-წარმოების იმ მოსამსახურეებსაც, რომლებიც, გამოიყენებენ რა ბოროტად თავის თანამდებობას, ანგარებით და სხვა რაიმე ქვენა გრძნობით შეპყრობილნი, მფარველობას გაუწევენ და ხელს შეუწყობენ „ნეპმანების" დეზორგანიზატორულ „საქმიანობას".

საგანგებო კომისია და პროკურატურა არ შეჩერდებიან არავითარი სასტიკი ზომების წინაშე იმ მოქალაქეთა მიმართ, რომელნიც საბჭოთა ხელისუფლების მოწოდებაზე ჩვენი რესპუბლიკის კულტურულ ეკონომიურ აღორძინების საქმეში პატიოსანი და საქმიანი მონაწილეობის მისაღებად, უპასუხებენ ჩვენი სახელმწიფო მშენებლობის და საბჭოთა დაწესებულებების განსაკუთრებით,—**სასამართლოს და პროკურატურის პრესტიჟის შერყევით და ძირის გამოთხრით**

ბურჟუაზიულ წყობილებიდან დარჩენილი ნაშთები და ბურჟუაზიული ჩვეულებები,—ნათლიმამობა, ძმაბიჭობა, მექრთამეობა და სხვა—ამ ძირის გამოთხრის საუკეთესო ხერხებია და ჩვენ ამ ნაშთების წინააღმდეგ ვიბრძოლებთ ჩვენს განკარგულებაში მყოფ ყოველგვარ საშუალებებით.

N.

კოოპერაცია

ახალციხის მთლიანი კოოპერატივის მუშაობა

ახალციხის კოოპერატივი (განაწილებული) დაარსებულია 1922 წელს. მისი საქმიანობა მეტის მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა 1923—1924 წელში. კოოპერატივს აქვს ქალაქში 8 სავაჭრო განყოფილება. ამათში სპეციალურად გამოყოფილია ორი მაღაზია, სადაც მარტოდ მარტო საგლეხო საქონელი იყიდება. კოოპერატივს აქვს საკუთარი საყასბო, ღვინის სარდაფი და სხვა.

სოფლად აქვს ჯერ-ჯერობით ექვსი განყოფილება ა) უდეში, ბ) ადიგენში, გ) ურაველში, დ) ლეპისში, ე) აწყურში, ვ) სუფლისში და ზ) კურორტ აბასთუმანში. ორი მათგანი—აწყურში და უდეში ამ დღეებში გადაკეთებულ იქნებიან დამოუკიდებელ კოოპერატივებად. განზრახულია აგრეთვე ახალ განყოფილებათა გახსნა ს.ს. ასპინძაში, ცხნისში და ანდრიაწმინდაში. საქონლის ბრუნვა 9 თვის განმავლობაში ე. ი. 1924 წ. 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე 280.000 მანეთს აღემატება. საერთო ბრუნვა კი 1.500.000 მანეთი. მოსალოდნელი წმ. მოგება ამ წლისა 10.000 მანეთამდეა.

გლეხობამ ბაზარზე დიდძალი მსხვილ-წვრილ ფეხა საქონელი გამორეკა. ყიდის აგრეთვე სოფლის ნაწარმოებს: ქერს, ხორბალს, თივას, ერბოს, კვერცხს და სხვას. ჩარჩ-ვაჭრებმა ჩალის ფასად დაიწყეს ზემონაჩვენებ საგნების შესყიდვა, მაგრამ კოზი ნაცარში ჩაუვარდათ. აქ ახალციხის კოოპერატივმა გამოიღო ფული, შეუდგა საკლავ საქონლის შეძენას. რამდენიმე ასეული უკვე შეიძინა. ხორცი ბაზარში ფასობდა 25—30 კ. გირვ. ვაჭარი კი ყიდულობდა ფუთს 3 მანეთად, კოოპერატივმა ფასი ასწია ფუთში 5 მანეთამდე ხოლო ხორცის ფასი დასწია ბაზარზე 12—15 კაპეიკამდე, როგორც მსხვილფეხა საქონლის ისე ცხვარ-ბოტკანისა. დაამზადა აგრეთვე 15.000 ფ. ქართოფილი, და გაჰყიდა სამხედრო და საზოგადო ორგანიზაციებზე მათთვის ხელსაყრელ ფასებში.

ზამთრისთვის მარაგი ყავს მსხვილფეხა საქონლისა ახალქალაქში 60 სულამდე.

ერთი სიტყვით ახალციხის კოოპერატივი ებრძვის კერძო ვაჭრებს მთელი მაზრის მასშტაბით. ეს ბრძოლა იოლი როდია მისთვის, მაგრამ ის მაინც იმედს არ კარგავს. საჭიროა, რომ ახალციხის კოოპერატივს განსაკუთრებით ყურადღება მიაქციონ ცენტრიდან როგორც ხელისუფლებამ ისე კოოპერატიული და საბანკო განყოფილებამ და ზურგი გაუმაგრონ მას საქონლით და ფინანსებით. კოოპერატივი კარგ ნიადაგზე სდგას და საიმედო ხელშია ოღონდ მეტი ყურადღება სჭირია მას, რომ სავსებით გაამართლოს მასზე დაკისრებული მოვალეობა.

მგზავრი.

სასოფლო მეურნეობა

ბამბის წარმოების საქმე იმერეთში

ბამბის კულტურა იმერეთში დიდი ხნიდან ცნობილია. მართალია, მიწის სიმცირის გამო აქ არ შეიძლება ბამბეობამ ფართე ხასიათი მიიღოს. აქ განვითარებულია უბრალო ოჯახურ-ბოსტნეური სახის ნათესი. ამის გამო შესაძლებელია მას უხელმძღვანელოს რომელიმე ორგანიზაციამ ისე, როგორც ბამბის საქმეს ხელმძღვანელობენ სხვა რაიონებში (აზერბეიჯანი, სომხეთი). ყოველშემთხვევაში, ეს წვრილი ნათესები დახმარებას საჭიროებენ, რომ ამ საქმემ შესაძლებლობის ფარგალში მაქსიმუმი ნაყოფი გამოიღოს. ამისთვის კი საჭიროა რაციონალური და ადგილობრივ პირობებთან შეთანხმებული მუშაობა გამოცდილ და საქმის მოყვარულ პირების ხელმძღვანელობით. დღემდის იმერეთში სთესენ ბამბის ადგილობრივ თესლს, რასაც ცუდი მოსავალი მოაქვს. მხოლოდ ცეკავშირმა და წარმოკავშირმა მიაქციეს წელს ყურადღება იმერეთის მებამბეობას. მიიტანეს იქ ამერიკული თესლი, ნაწილობრივ აგანსებიც გასცეს მთესველებზე და ბამბის მოგროვებასაც შეუდგენ ა. წ. სექტემბრიდან. წელს იმერეთში დაახლოვებით დათესილა 2000 დესეტინამდის და მოსავალი 40,000 ფუთამდე არის მოსალოდნელი. სამწუხაროთ უნდა ითქვას, რომ ბამბის შეძენის საქმე ვერ არის კარგათ დაყენებული. საქმე იმაშია, რომ იმერეთში ბამბის დახარისხება არავინ იცის: გლეხობა მამაპაპურის წესით კრეფს ბამბას ნარევათ და ასეთი სახით გამოაქვს ბაზარზე. ცეკავშირმა და წარმოკავშირმა დაიწყეს ბამბის შეძენა იმ სახით, როგორც გლეხობას მოაქვს. ამიერ-კავკ. საბამბო კომიტეტმა ძალიან გვიან, მხოლოდ მოკრეფის დროს, მიაქცია ყურადღება იმერეთის ბამბას. დეკრეტის ძალით ბამბაზე ფაქტიური მონოპოლია მებამბეობის კომიტეტს გადაეცა. კომიტეტმა დააწესა სამი ხარისხი ბამბაზე და გასცა განკარგულება, რომ რკინისგზის არც ერთს სადგურს არ მიეღო ბამბა მისი მოწმობის გარეშე. თავის მონოპოლიის განხორციელება საბამბო კომიტეტმა ცეკავშირს გადასცა, გარდა ვანი-ტობანიერის რაიონისა, რომელიც წარმოკავშირს გადაეცა. ეს მოხდა 20 ოქტომბერს, როდესაც ორივე კოოპერატიულ ცენტრს უმეტესი ნაწილი ბამბისა დაბეებული ჰქონდა და მიღებულიც ნარევის სახით. მთელი იმერეთის ბამბა კი შეკრებილი ჰქონდა გლეხობას დაუხარისხებლათ. საბამბო კომიტეტმა დაგზავნა თავის აგენტები ბამბის მისაღებად ქუთაისში და სამტრედიაში — ბამბას თხოულობენ დახარისხებულს. ასეთი კი იმერეთს ერთი გირვანქაც არ მოეპოვება. გამოსავალი ადვილად იქნა მონახული რაც კი ბამბა ნაყიდი ჰქონდათ ცეკავშირში და კოოპერატივებში, სულ მეორე მესამე ხარისხათ იქნა აღრიცხული. ნამდვილად კი მოგროვილ ბამბაში 80 პროცენტზე მეტი პირველი ხარისხის არის. ამის გამო ტეხნიკურად მოუხერხებელი შეიქნა ბამბის შეძენის გაგრძელება. ბამბა უვარდება კერძო ჩარჩებს, რომლებიც მთავრობის მიერ დაწესებულ ფასზე მეტს აძლევენ ერთ ნდენ ადგილობრივ, ნაწილს იქვე ყიდიან და ნაწილს კი გზავნიან ბუმბლის სახით. აქვე უნდა ითქვას, რომ რაიონში ბევრ კერძო ჩარჩს აქვს თურმე მებამბეობის კომიტეტის მოწმობა, ნებართვა გარჩეული ბამბის სხვა ქალაქებში გატანის შესახებ. ამას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება. იქ სადაც კოოპერატივების ქსელი არსებობს, კერძო სპეკულიანტებთან საქმის დაჭერა მიუტევებელ ცოდვათ უნდა ჩაითვალოს. ბამბას ახარისხებენ ჩვეულებრივ კრეფის დროს. ოქტომბრის დამლევს, როცა ბამბა უკვე მოკრეფილია, ამ ოპერაციის მოხდენა გავვიანებულია. მასთან იმერეთის გლეხობისათვის ეს საქმე ახალი ხილია. ამის განხორციელებას სჭიროდა ერთგვარი წინასწარი ინსტრუქტორული შემზადება. ადგილობრივი კოოპერატივები ცუდ მდგომარეობაში არიან ჩაყენებული: არ შეიძინონ ბამბა—გლეხობა უკმაყოფილო რჩება, შეიძინონ—ამიერკავკასიის საბამბო კომიტეტის აგენტები დაუხარისხებელს ან არ ღებულობენ, ან იღებენ ისეთ ხარისხათ, რაც საზარალო არის როგორც კოოპერატივისათვის, ისე გლეხობისათვის. საბამბო კომიტეტი რომ დაკითხოდა ადგილობრივად მომუშავე საქმის მცოდნე კოოპერატიულ ცენტრებს ან ვინმე იმერეთის მებამბეობის მცოდნე პირს, ეს უხერხული მდგომარეობა არ შეიქმნებოდა. ამიერ-კავ. საბამბო კომიტეტმა თავისი მუშაობა უნდა დაუკავშიროს გლეხობის ინტერესებს, ანგარიში გაუწიოს სინამდვილეს და შესაძლებლობას და თავისი მუშაობა კოოპერატივებთან შეთანხმებით აწარმოოს.

ქმაუთელი.

მუშათა ცხოვრება

მუშკოოპი და მუშები

რა არის მუშკოოპი?

მუშკოოპი არის თვითეულ მუშის ხაზინა, მისი მეორე ოჯახი, სადაც მან უნდა შეიტანოს თავისი კაპეიკობრივი წვლილი. თავისი მცირე გაღებული წვლილით ის მოუტანს მუშკოოპს დიდ სარგებლობას. ამითი მუშათა წარმოება წინ წაიწევს, დასცემს ძირს თავის მტრებს: ვაჭრებს, სპეკულიანტებს, დალალებს და სხვა.

ყველა მუშები უნდა იყვნენ მუშკოოპის წევრები, არავინ არ უნდა დარჩეს მუშკოოპის გარეშე.

ყოველი შეგნებული მუშა უნდა შედიოდეს თავის მუშურ ორგანიზაციაში. ის არ უნდა შედიოდეს კერძო მოვაჭრეებთან სავაჭროდ. იმას რაც სჭირია, ყველაფერი არის მუშკოოპში.

ყველა მუშა, საცა გინდა მუშაობდეს ის, ვალდებულია, ეცადოს—გასწიოს—პროპაგანდა მუშებში, აუხსნას მათ მუშკოოპის მიზანი და დაუყოვნებლივ ჩაეწეროს წევრად.

მუშკოოპის წევრი ბევრს სარგებლობს თავისი მუშათა ორგანიზაციიდან: როდესაც ის ვაჭრობს რომელიმე მუშკოოპის დუქანში (ყველგან შეუძლიან), მას მანეთზე 3 კაპეიკი პროცენტი ეძლევა, როდესაც ის აწერინებს ჩეკს, მან უნდა აჩვენოს თავისი მუშკოოპის წიგნაკი ან მისი ნომერი, და დააწერინოს სავაჭრო ჩეკი. როდესაც გადაიხდის ფულს, მას უკან უბრუნებენ ჩეკის ნახევარ მონახევს. ყველა წევრმა უნდა შეინახოს ის ჩეკები. სამი თვე რომ გავა, ის წარმოადგენს წიგნაკს თავის შენახული ჩეკებით იმ დუქანში, სადაც ის ვაჭრობს, წიგნაკი იგზავნება გამგეობაში, სადაც ანგარიშობენ და გზავნიან უკან დუქანში, მიდიხარ დუქანში, გეუბნებიან; „თქვენ გეკუთვნით სამი თვის განმავლობაში პროცენტიო, რომელიც შეადგენს მაგალითად, 4—5—6 მან. თქვ ნ რომელი საქონელი გნებავთ—მიგაქვთ სახლში, რაშიაც არაფერს არ იხდით.

რომელიმე კერძო მოვაჭრე მისცემს პროცენტებს ჩვენ მუშებს?

არავინ, მათი დანახვაც კი ეჯავრებათ, და თუ ჩაუვარდათ ხელში, თვითონ იციან, როგორ გააძრონ ტყავი საცოდავ მუშებს.

ამიტომ ყველა მუშები უნდა იყვნენ მუშკოოპის წევრებად. არავინ არ უნდა დარჩეს მუშკოოპის გარეშე.

მუშკორი ელვა.

გამოგზავნილი წერილებიდან

აუცილებელია მუშაობის განაწილება.

მთავარ სახელოსნოს სადურგლო სამქროში, სადაც მზადდება ხე-ტყის მასალა, არსებობს ორმაგი მუშაობა (დილაობით და საღამოობით). ღამით მომუშავეთა რიცხვი ნაკლები არის, დღისით მომუშავეებზე მუშაობა კი ღამით მეტია.

საჭიროა ამ მოვლენას ყურადღება მიექცეს და მომუშავეთა რიცხვი დილა-საღამოობით გათანასწორდეს მაინც, თუ საღამოობით ზედმეტის დანიშვნა არ შეიძლება.

მუშკორი **ლრ—ელი.**

მოგვეცით შეშა.

(პროფკავშირთა საბჭოს საყურადღებოდ).

მილიციის მოსამსახურეებს ძალიან მცირე ხელფასი აქვთ, რის გამო გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებიან მილიციის თანამშრომელნი. ან სად ყოფნით მათ 23 მ. 75 კ. თვეში. შიშით მოელიან ესენი ზამთარს. მილიციონერები უზრუნველი უნდა ჰყოთ შეშით მაინც.

მუშკორი **ალ. ბე—შვილი.**

მუშაა თუ მიკიტანი.

(რკინისგზის საუბნო კავშირის საყურადღებოდ)

მთავარ სახელოსნოში, ორთქლმავალთა სამქროში მუშაობს ნიმიკიტარი ვანო ძამაშვილი. მას სახლში აქვს პატარა სამიკიტნო. ღვინოს ძვირად ჰყიდის, წყალნარევიც არის, სახელს კი „კახურს" არქმევს. არ შეშვენის მუშას ასეთი საქციელი.

ადგილკომო, მიაქციე ამას ყურადღება!

მუშა **ლამურა.**

სპეკულიანტებს ბოლო არ ელებათ?

(ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ).

მუშათა შესახვევში (მე-11 უბანი) მცხოვრები სახლის პატრონი ქალი მარიამ ჟამერაშვილი განაგრძობს ღვინით და მაგარი სასმელებით ვაჭრობას. თუმცა არა ერთხელ ყოფილა ისეთი განკარგულება, რომ სეთი ვაჭრობა მოისპოს, მაგრამ მოსპობის მაგიერ, ამ ქ-ნის ოჯახში ისეთი სპეკულიანტობა უფრო და უფრო გაძლიერდა. თანაც თავი მოაქვს, რომ კახეთის მატარებლის მთელი მოსამსახურეები კარგად მიცნობენ და მათი დახმარებით ვსარგებლობო. ასეთი სპეკულიანტი-ქალი კარგად გამათრახების ღირსია.

მუშა **ვ—ხი.**

ფაბრიკა-ქარხნებში

ამხ. ლენინის სახელობის მე-3-ე თამბ. ფაბრიკა.

წარმოება იზრდება. ფაბრიკამ ენკენისთვეში დაამზადა **19.879.000** მოსაწევი ერთეული: პაპიროსი 11.039,000 და თამბაქო 8.840 გირვანქა; ოქტომბერში კი 25.204,000 მოსაწ. ერთეული—აქედან პაპიროსი **16.879.000** და თამბაქო **8.825** გირვანქა.

„ხოლიდეი" პაპიროსების წარმოება გადაყვანილ[illegible] [illegible] [illegible], რისთვისაც [illegible] პაპიროსების [illegible] [illegible].

მანქანების მხრივ წარმოება ფაბრიკაში უზრუნველყოფილია.

სახელმწ. მე-4-ე თამბ. ფაბრიკა მარქსის სახელობისა.

ეს ფაბრიკა გაიხსნა 7 ნოემბერს ამ უკანასკნელი ხნის განმავლობაში იგი აწარმოებდა **სტორგანიზაციო** მუშაობას და ეხლა კი შეუდგა **წმინდა** წარმოებით მუშაობას.

ფაბრიკაში დამზადდება შემდეგი ეტიკეტებით პაპიროსები: **„შოთა"** უმაღლ. ხარისხისა, **„ოცნება"** 1 ხარისხისა და **„ტიფლისკიე"** იმავე ხარისხის.

ნედლი მასალით ყველა სახელმწ. თამბაქოს ფაბრიკები უზრუნველყოფილნი არიან. ტრესტს იგი საკმაო რაოდენობის მოეპოვება, ზოგი ხარისხის თამბაქო მას მოეპოვება მთელი წლის და ზოგი 7—8 თვის საყოფი.

მუშკოოპის საკვებ პროდუქტების ფაბრიკა.

მუშათა მდგომარეობა. ფაბრიკაში ირიცხება 26 მუშა, მათი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია: **ჯამაგირებს** წესიერად ღებულობენ, ეძლევათ ულუფა ნაწარმოებ პროდუქტების სახით და საპნით, სპეც-ტანისამოსი წესიერად ეძლევათ და ერეცხებათ. წერა-კითხვის უცოდინარი არავინ არის, გამოწერილი აქვთ ყველა ადგილობრივი გაზეთები.

ფაბრიკა შენობის მხრივ განიცდის სივიწროვეს, მაგრამ ამ ჟამად ეს დეფექტიც და იძლევა, ნაწილი წარმოებისა გადააქვთ საკონდიტრო ფაბრიკაში.

ნედლეული ფაბრიკას ყოველთვის საკმაო რაოდენობით მოეპოვება.

ინფ. **ტონკა.**

პროფკავშირებში

სამეცნიერო-ტეხნიკურ ძალთა სექციაში

საფაბრიკო-საქარხნო სკოლების პროგრამები

სამეცნიერო-ტეხნიკურ ძალთა ცენტრალურმა ბიურომ 11 ნოემბრის სხდომაზე დაადგინა:

ვინაიდან ყველა პროფესიების კვალიფიციურ მუშათა კადრის შევსების საკითხი მეტათ მნიშვნელოვანია, ამიტომ ცენტრალურ ბიუროს საჭიროთ მიაჩნია, სანამ სექციის ბიუროს დაევალება საფაბრიკო-საქარხნო სკოლების პროგრამის შემუშავება, წინადადება მიეცეს ამხ. ბაბრავს, ივანოვს და საალმშენებლო დარგის მუშაკთა სექციის ბიუროს ერთ წარმომადგენელს შეადგინონ სქემა, რომელზედაც უნდა იქნეს დამყარებული აღნიშნული პროგრამა.

ეს სქემა განხილული იქნება ცენტრალურ ბიუროში, რის შემდეგაც დაეგზავნება ყველა სექციების ბიუროებს, როგორც სახელმძღვანელო მასალა.

სპეციალური წიგნების კატალოგი.

ცენტრალურმა ბიურომ დაადგინა წინადადება მიეცეს ყველა სექციების ბიუროებს ერთი კვირის განმავლობაში შეიმუშავონ იმ წიგნების კატალოგი, რომლებიც საჭიროა მრეწველობის ამა თუ იმ დარგისათვის.

ეს კატალოგი ხელს შეუწყობს ცოდნის გაფართოვებას პროფესიონალურ სპეციალობაში და აგრეთვე მუშებს მისცემს ელემენტარულ ცოდნას ნედლი მასალის, შრომის ნაყოფიერების, დამუშავების ნორმების და სხვა საკითხების შესახებ.

საბჭოთა სასამართლო

ფულის მითვისება.

ალმ. საქ. ოლქის სასამართლომ რ. შამახიას თავმჯდომარეობით გაასამართლა კოჯორის მილიციის უფროსი თანამშრომელი სამუილ ანჯაფარიძე, რომელსაც ბრალათ ედებოდა ის, რომ 1923 წელს, ასრულებდა რა გადასახადის ამკრეფის მოვალეობას, ერთ-ერთ ვაჭარს სულხანიშვილს ჩამოართვა 6.750.000 მანეთი, ხოლო თავის წიგნაკში ჩასწერა 3.750.000 მანეთი. ბოროტმოქმედება გამოირკვა რევიზიის დროს. ბრალდებულმა უარჰყო თავისი დანაშაული და განაცხადა, რომ ზემოაღნიშნული ციფრი შეტანილი იყო წიგნაკში არა ფულის მითვისების განზრახვით, არამედ შეცდომით. მაგრამ სასამართლომ ბოროტმოქმედება დამტკიცებულათ სცნო და, მიიღო რა მხედველობაში ბრალდებულის სოციალური მდგომარეობა, მისი სიღარიბე და სხვა, მიუსაჯა მას თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით, რომლის მოხდისაგან შემდეგ განთავისუფლებულ იქნა უკანასკნელ ამნისტიის ძალით.

ქრონიკა

— **საზოგადოებრივი სამუშაოების** მოსაწყობათ მთელ საქართველოში, ა.-კ. შრ. სახ. კომისარიატს განზრახვა აქვს საქ. შრ. სახ. კომისარიატს გადასცეს 344 ათასი მან.

— **შრომის ბაზრის** განყოფილებას დაევალა შეიმუშაოს გეგმა რესპუბლიკაში უმუშევართა დასახმარებლათ შემოწირულებათა შეკრების კამპანიის ჩასატარებლათ.

— **ახალი ნიხრი აბანოებში.** 15 ნოემბრიდან ქ. აბანოებში შემოღებულ[illegible] ახალი ნიხრი.

— **ხ ბ ლი.** მიწად-მოქ. სახ. კომისარ აქვს სხვადასხვა მაზრებში ამ ჟამად აქვს 370—380 ათასი მან. ხორბალი და სიმინდი.

— ა.-კ. რკ. გზის ხარჯთ-აღრიცხვის გამოსაკვლევათ საკავშირო რკინის გ-ის სახალხო კომისარიატმა გამოგზავნა რევიზორი-ინსტრუქტორი.

— **ოქტომბრის** განმავლობაში ა.-კ. რკ. გზებზე აღრიცხულია ბარგის გატაცების 21 შემთხვევა.

— **სტიპენდია.** ქ. აღმასკომმა თავის ხარჯზე გააგზავნა უმაღლეს სასწავლებელში კომზაგესის თანამშრომელი ამხ. სვანიძე.

— **საჰაერო მიმოსვლა.** ცუდი ამინდების მიუხედავათ, თბილის-ვორონცოვკას შორის საჰაერო მიმოსვლა წესიერად სწარმოებს.

— **დახმარება უმუშევრებს.** დღეს, 25 ნოემბერს უმუშევართა დამზღვევი განყოფილება გასცემს ნოემბრის თვის დახმარებას მეტყავეთა, მკერავთა და მქსოველთა სექციების უმუშევრებზე.

— **უმუშევართა აღრიცხვა.** დღეს მოხდება მედსანშრომის კავშირის უმუშევარ წევრთა აღრიცხვა.

— **ავტომობილები.** ბათომში მიღებული იქნა იტალიიდან 6 ავტომობილი „ფიატის" სისტემის. ამ დღეებში მოელიან კიდევ 24 ავტომობილს.

— **საავტომობილო მიმოსვლა.** ახლო ხანში დაიწყება ავტომობილებით მიმოსვლა შემდეგი მიმართულებით: ქუთაისი-ხონი-სამტრედია.

— **შრომის ქვეყანა.** რედაქციამ მიიღო ი. მეტრეველისა და ა. ჩიქობავას წიგნი „შრომის ქვეყანა", პოლიტგანათლების მთავარ მმართველობის მიერ გამოცემული.

შემთხვევები

— **თ ვ ი თ მ კ ვ ლ ე ლ ო ბ ა.** 23 ნოემბერს ამით ნიკოლოზის ქ № 9 მოქ ივანე ფილიპოვიჩმა რევოლვერით მოიკლა თავი.

— **დ ა ჭ რ ა.** 23 ნოემბერს, ღამის 10 საათზე სადგურის მოედანზე ტრამვაის ხაზზე აღმოჩენილი იქნა დანით მძიმეთ დაჭრილი უცნობი მოქალაქე.

— **თ ა ვ ი ს მ ო წ ა მ ვ ლ ა.** 23 ნოემბერს დღით ანდრეევის ქ № 94 სალომე მარაბლისამ მოიწამლა თავი, რომელიც გადაიგზავნა სავადმყოფოში.

— **თ ა ვ ი ს დ ა ხ რ ჩ ო ბ ა.** 22 ნოემბერს საღამოს 9 საათზე თავის ბინაზე მისულა მთვრალი მოქ პეტრე ისაკიანი (მე-5 პროექციის ქ.) და ჩამოუღრჩვია თავი ბაწრით, მატერიალურ გაჭირვების გამო.

— **მ ტ კ ვ ა რ შ ი გ ა დ ა ვ ა რ დ ნ ა.** 23 ნოემბერს საღამოს 8 საათზე ბორანიდან მტკვარში გადავარდა უცნობი მოქალაქე და დაიხრჩო. გვამი ჯერ არ არის ნაპოვნი.

— **ს ა ხ ლ ი ს დ ა ნ გ რ ე ვ ა.** 23 ნოემბერს სოფ. დიღომში უეცრათ დაინგრა მოქ ანნა რძეიშვილის სახლი. მკვდარია თვით სახლის პატრონი და მძიმეთ დაშავებული არიან 6 სტუმარი.

— **ქ უ რ დ ი ქ ა ლ ი.** 22 ნოემბერს საპიორის ქ. № 11 გაქურდეს პლატონ ქიქოძის ბინა. იქვეთ შეიპყრეს მარიამ ვართაიანცი.

შ ე პ ყ რ ო ბ ა. 22 ნოემბერს დღით „გოსშვეინმაშინის" მაღაზიაში შეიპყრეს ხორემ ოგანიანცი, რომელსაც უნდოდა მოეპარა უთო.

— **ქ უ რ დ ი მ ე ე ზ ო ვ ე ე ბ ი.** 21 ნოემბერს შეიპყრეს მეეზოვეები ოსიპიანცი და ვართანოვი, რომლებსაც ბრალდებათ მუხრანის მოედანზე გაიკა სარქისიანცის მაღაზიის გაქურდვა.

— **ქ უ რ დ ო ბ ა.** 23 ნოემბერს სურფსარქისის ქ. № 55 გაქურდეს ქსენია შეილნაიას ბინა.

— ამავე დღეს პლეხანოვის პრ. № 10 გაქურდეს თეკლე ესებუას ბინა, წაღებულია 150 მ. ნივთები.

— 23 ნოემბერს კამოს ქ. № 103 მე-2 საავადმყოფოს კანცელარიიდან მოიპარეს ხელით საბეჭდი მანქანა.

— 21 ნოემბერს ბებუთ[illegible] № 28 გაქურდეს „ფიზკულტურ[illegible]".

— **გ ვ ა მ ე ბ ი ს [illegible].** ახალქალაქის და წალკის რაიონის საზღვრებზე აღმოჩენილი იქნა ორი მგზავრის გვამი, ბანდიტების მიერ მოკლული.

— **შ ე პ ყ რ ო ბ ა.** 22 ნოემბერს შეიპყრეს ცირეწულოვანი ოგანეს ყაზარიანი და გარეგინ დანელიანცი, რომლებმაც მამედ ყურბან-ოღლს ჯიბიდან ამოაცალეს 22 მანეთი.

— ამავე დღეს შეიპყრეს შაქრო ხაჩატუროვი, რომელსაც ბრალდება დესიმონოვის მოედანზე ბურკოვსკის ფურნეკუნიდან შინცის მოპარვა.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

ვანო სარაჯიშვილის ხსოვნის აღსანიშნავი წარმოდგენა

მეტად გულშემზარავ და ამასთანავე საზეიმო სურათს წარმოადგენდა 22 ნოემბრის წარმოდგენა სახელმწიფო ოპერის თეატრში.

უდროოთ დაღუპულ მომღერალის ხსოვნის აღსანიშნავად დადგმული იყო „აბესალომ და ეთერი".

როგორც ყოველთვის, დადგმული იყო ყველა სცენები, მაგრამ... სცენაზე არ იყო აბესალომი—ის შესცვალა სიმბოლომ—ლანდმა. რომელიც გამოჩნდებოდა ხან იქ, ხან აქ, იმ ადგილებში, სადაც სცენიური მოქმედების განვითარების თანახმად ოპერის სხვადასხვა მომენტებში უნდა ყოფილიყო აბესალომი; პარტიის ვოკალურ მხარეს ასრულებდა ვიოლინი.

გაჭედილი დარბაზი, მღელვარება, სიჩუმე, მღერის ვიოლინი და თვალწინ ნათლად გიდგება განსვენებული მომღერალის სახე და მისი გატაცებული სიმღერა.

საზოგადოება მეტათ თავდაჭერილია, მთელი ყურადღება მიპყრობილია ვიოლინისკენ. აქა-იქ გაისმის თავშეკავებული ქვითინი. ყველა განსაკუთრებული ყურადღებით ისმენს ოპერას და დაჭიმულ ატმოსფერას არ არღვევენ აპლოდისმენტები.

ანტრაქტებში ლაპარაკობენ გარდაცვლილ მომღერალზე, თითქოს თეატრში დაჭკრის ძვირფასი ლანდი.

საზოგადოების სულიერი განწყობილებით არიან გამსჭვალული მსახიობებიც; მათ სიმღერაში, განსაკუთრებით ლირიულ ადგილებში, ისმის ხვევნის და კვნესის ჰანგები, რაც გამოწვეულია საყვარელი ამხანაგის დაკარგვით.

განსაკუთრებულ სულიერ განწყობილებას ჰქმნის აბესალომის არიის შესრულება ვიოლინის მიერ მესამე მოქმედებაში.

ვ. ბ.

ავლაბრის მუშათა კლუბში

შაბათს, 21 ნოემბერს ადგილობრივი სომხური დასის მიერ წარმოდგენილი იქნა სომხურ ენაზე 5 მოქმედებიანი ოპერეტკა „დაჰარმირზა ზორიან ხანუმი". დადგმამ არა უშავდარა. რაც შეეხება შესრულებას, განსაკუთრებით კარგი იყვნენ, არტაშა, ასტყია და ფარანძევა, სუსტი იყო ამ ოპერეტკაში არაბი და ჯადო მეთხავი. საერთოდ წარმოდგენა საშუალოდ ჩატარდა.

— **მ ს ა ხ ი ო ბ თ ა ა ხ ა ლ ი კ ო ლ ე ქ ტ ი ვ ი.** ორშაბათს, 1 დეკემბერს, ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება მსახიობთა კოლექტივის მიერ ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი" ალ. წუწუნავას რეჟისორობით.

— **მ უ შ ა - მ ს ა ხ ი ო ბ ს ი ა კ ო ბ ხ ო ჯ ა ე ვ ს** მისი სცენაზე 25 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად ქ. კომუნალურ განყოფილებამ მისცა 150 მან.

— **თ ე ა ტ რ ი ს ო ფ ლ ა დ.** დაბა ჩხარში ახლო ხანში დამთავრდება თეატრის აგება.

— **ო პ ე რ ა.** დღეს სახელმწიფო ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება: „სოფლის პატიოსნება" და „ჯამბაზები".

— **რ უ ს თ ა ვ ე ლ ი ს თ ე ა ტ რ ი.** დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება: „ვინძორის მხიარული ქალები".

დღეს კინოებში

— ა რ ფ ა ს ტ ო. ს ო ლ ე ი და ა პ ო ლ ო—„სამი სიცოცხლე".

— მ ი ნ ი ო ნ—ორფეული.

— თ ბ ი ლ მ ფ რ ი ნ ა ვ ი—„პარიზის ქალი".

— თ ა ხ ი ს—„წმინდა ხანჯალი".

— პ ა ლ ა ს—„ცირკის მეფე"—მეორე სერია

და რა კი საბჭოთა სისტემის დამხობას უკეთესი რეჟიმის (ე. ი. ბურჟუაზიულ-დემოკრატიულის) დამკვიდრება კი არ მოჰყვება, ამიტომ ს. დევდარიანი ამჯობინებს საბჭოთა ძალაუფლებას მემარჯვენე რეაქციას.

ეს დიდი პროგრესია ს. დევდარიანის, აშკარად უნდა აღვიარო ეს. დღეს ის ერთიგვეობის ნიშანს აღარ სვამს ბოლშევიზმსა და რეაქციის შორის. ნუ გაოცდებით, ს. დევდარიანი ბევრის მნახველი, ბევრის გადამტანი და ბევრის გადამხდავი ადამიანია. არც ისე შორსაა დღევანდელ დღიდან ის დღე და საათი, როცა აქვე თბილისში, მენშევიკურ ცეკას ორგანოში ს. დევდარიანი ასეთი დიაგნოზით უმასპინძლდებოდა საქართველოს:

„Большевизм или реакция—это совершенно неверное противо-поставление, это метафизическая постановка вопроса. В России не было двух сил. Была одна сила... И большевизм, колчаковщина, деникинщина, врангелевщина представляли, как только разновидностями этой по существу реакционной силы"... („Борьба", 1920 г. № 261, 19 ноября). 1)

ამ სიტყვების ავტორისათვის, ყველა დამეთანხმება, დიდი პროგრესია მის თქმა, რომ საბჭოთა წყობილება მირჩევნია იმ წყობილებას, რომელსაც რეაქციონური ევროპა მოახვევს თავს რუსეთს და საქართველოსაც, თუ აქ საბჭოთა წყობილება დაინგრევაო. დიდი მიღწევაა ს. დევდარიანისათვის აღსარება, რომ ბოლშევიკური რეჟიმი მირჩევნია დენიკინ-ვრანგელის რეჟიმსო.

მაგრამ საქართველოსათვისაც მიღწევაა ასეთი ნაცოდვილარი ქვემარქს-მენშევიკური აზროვნებისა? საქართველოს მუშებმა, გლეხებმა, მშრომელ ინტელიგენციამ უნდა გაიზიარონ ს. დევდარიანის მრწამსი—რომ რაკი ევროპაში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული სახელმწიფოებრიობაც კი ვერ ხარობს აღვირაგდებულ რეაქციის ქუსლებ ქვეშ, მხოლოდ იმიტომ უნდა ვამჯობინოთ საბჭოთა წესწყობილებაო! ვამჯობინოთ ჯერ-ჯერობით, თავი შევაფაროთ, გამოვიყენოთ, სანამ... სანამ „დემოკრატია" არ გაიდგამს მკვიდრათ ფესვებს ევროპაში, სანამ კვლავ არ აღიტაცებს დევდარიანებს ხმა და ძახილი: „დემოკრატიზმით სოციალიზმისაკენ".

მაგრამ ვერც ამ შეგუების პოზიციაზე იმაგრებს თავს ჩვენი „ქველმომქმედი" მკურნალი. ის რომ მართლა ხელაღებით იცავდეს ამ პოზიციას, იტყოდა შემდეგს მაინც: დღევანდელი საერთაშორისო და საშინაო პირობებში ბოლშევიზმის და მენშევიზმის მორიგება შეუძლებელია, ეს ორი მიმართულება ერთ პოლიტიკურ არეზე ვერ მოთავსდებიან უბრძოლველათ; სანამ არსებობს რომელიმე პოლიტიკური პარტია, ის არსებობს, მის არსებობას აქვს აზრი და გამართლება იმდენათ, რამდენათაც ის იბრძვის პოლიტიკური ძალაუფლების დასაპყრობათ; ამიტომ მენშევიკურ პარტიის არსებობა ისეთ ხანაში, როცა რეაქციას უმკლავდება ბოლშევიზმი, მავნებელია, დაუშვებელია.

ასე უნდა ეთქვა დევდარიანს, ის რომ მართლა მდგარიყო მტკიცეთ იმ პოზიციაზე, რომლის შესახებ ის მოგვითხრობს თავის სიტყვიერს თუ საგაზეთო გამოსვლებში. მაგრამ ეს ასე არ არის. თურმე შესაძლებელი ყოფილა არა მარტო არსებობა მენშევიკური პარტიის ლეგალურათ კულტურულ სფეროში მომუშავესი, არამედ „რევოლიუციონური" მენშევიზმისაც.

რევოლიუცია—ვის წინააღმდეგ, ვის ჩამოსაგდებათ? აშკარა უნდა იყოს—ვის და ვისი.

მაშასადამე აშკარა უნდა იყოს ს. დევდარიანის ახალი სიტყვის ძველი სარჩულიც.

ის იტყვის და გაიმეორებს არა ერთხელ: არ მინდა საბჭოთა სისტემის დამხობა. მაშ რა უნდა აკეთოს პოლიტიკურ პარტიამ, თუნდა არალეგალურმა და ლეგალურ გუნებაზე მყოფმა? ნუ თუ მარტო კულტურულ მუშაობაში ჩაბმით დაკმაყოფილდეს? მარა განა მაინც და მაინც ძველი მარქსისტი უნდა იყოს კაცი რომ მიხვდეს ამის შეუძლებლობას? უპარტიო მენშევიკი კიდევ წარმოსადგენია, მგზავსათ თეთრი ყორანისა, მაგრამ უპარტიო მენშევიკური პარტიის წარმოდგენა ყოვლად შეუძლებელია მარქსიზმთან ცოტათ მაინც გაცნობილ ადამიანისათვის.

ს. დევდარიანს, რამდენათაც ის არ გაურბოდეს „ძველ მენშევიკურ პარტიას", რამდენათაც არ უნდა იყოს მონდომებული განწმენდილი და განბანილი ახალი მენშევიკური პარტიის დაარსების, ნუ თუ ვერ წარმოუდგენია, რომ ეს მისი „პარტია" აუცილებლად უნდა წააწყდეს ძალაუფლების საკითხს?

და ეს საკითხი ხომ ყველგან იჩენს თავს—კულტურულ კერასთან, საბჭოთა საზოგადოებრივობის საბუდართან, საბჭოების შიგნით და სხ. და გადაწყვეტა მისი საბოლოოთ ხდება—ლეგალურათ თუ არალეგალურათ,—ძალთა ჭიდილით, პოლიტიკური ბრძოლით და ბოლოს—იარაღის გაელვებით.

აი აქ არის მეორე დიდი მტკივანი ადგილი ს. დევდარიანის. **სანამ ის სააშკარაოზე არ გამოიტანს ამ თავის დაფარულ სენს, სანამ ის მუშების წინაშე არ მოახდენს სრულს თვითგამორკვევას ამ საკითხში, ის მკურნალი კი არა, მომწამვლელი იქნება იმ წყაროსი, საიდანაც საქართველოს მშრომელი მოელის მაცოცხლებელ სასმელს სწორი კლასობრივი პოლიტიკური მოქმედებისას.** სანამ ეს თვითგამორკვევა არ მოუხდენია ს. დევდარიანს, ის, რაც უნდა იმიჯნებოდეს ავანტიურის მომწყობთაგან, ობიექტიურად მაინც ავანტიურის დამხმარე იქნება.

მას სურს ისტორიის ბორბალი შემოაბრუნოს, ან შეაჩეროს მაინც; მას სურს შეუგნებელი ისტორიული პროცესის შეგნებული გამომხატველის, მებრძოლი კომუნიზმის პარტიის გვერდით ამყოფოს კომუნიზმის შეურიგებელი, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული წყობილების მოტრფიალე მენშევიკური სოციალ-დემოკრატია; უკეთეს შემთხვევაში, მისი მოწოდებაა—**კომუნიზმის პარტიის გამენშევიკება.** აქეთ სცემს ის თავის სადოსტაქრო ნესტარს, საბედნიეროთ საკმაოთ გაცვეთილს. სცემს განუწყვეტლივ, დიპლომატიური ხელაპყრობით და სათანადო კილოს ფიცით. ის არ თაკილობს იყოს ქომაგი და ვექილი არა მარტო ქართველი შოვინისტ-ინტელიგენტის, არამედ „ჩაგრული" ქართველი თავადის და „ჩაგრული" ამბროსი კათალიკოსის—ყველა საგანი გამოსადეგია უიალქნო ძოღვაწეობაში, რის მიზანია პროლეტარული რევოლიუციის პარტიის მენშევიკურ ემბაზში მონათვლა, ბოლშევიზმის მირონცხება მენშევიზმის ზოოლოგიური შოვინიზმით.

აქეთკენაა მიმართული ს. დევდარიანის ნადირობა ეროვნული საკითხის არეზე. ეს ნადირობა ხშირად წააგავს ლომის ფაფარში მწერების ძებნა-ჭერას, მარა მისი შინაარსი და მნიშვნელობა მეტათ სერიოზულია.

ს. დევდარიანს სურს **ბოლშევიკურ პარტიას აუცრას ნაციონალიზმ-შოვინიზმის შხამი,** ე. ი. ის შხამი, რომელიც ყველაზე უფრო მოსწამლავს და გაანადგურებს მშრომელთა საქართველოს, ამიერ-კავკასიას და მთელს საბჭოთა კავშირს. ის, რამაც არა თუ საუკუნოვ პატივი აჰყარა, მარტივი დემოკრატიული პატივი, „სოციალისტურ" პარტიას მენშევიკებისას, ჯოჯოხეთად აქცია ამიერკავკასია და მტრულად გადაჰკიდა რუსეთის მუშებს და გლეხებს, აი სწორედ ამის შემოპარებას გვიპირებს ს. დევდარიანი.

ის, თითქოს აქ არაფერიაო, გულმოსული გვამხელს, აქამდის პროფკავშირების გაეროვნება ვერ მოახდინეთო. აი, მაგალითად, თბილისში მეტყავეთა, მელითონეთა, გემოკვების და სხ. კავშირებში სომხები მეტია ქართველებზეო. მას მოჰყავს ცნობები ამის დასამტკიცებლად. ჩვენ უნდა განვაცხადოთ, რომ ეს მისი ცნობები სწორი არ არის და არ შეესაბამებიან დღევანდელ ოფიციალურ და საქ. პროფკავშირების საბჭოს) ცნობებს *), მაგრამ სავსებით მართალიც რო იყოს, იცით რა სურს ს. დევდარიანს? არც მეტი, არც ნაკლები—პროლეტარიატის გაეროვნება. რას ნიშნავს მერე ეს საქართველოსათვის?—რას და იმას, რასაც სჩადიოდა მენშევიკური პარტია თავის ბატონობის ხანაში, ე. ი. არაქართველ მუშების დევნას, მათ მოხსნას სამუშაოდან, მათ გარეკას საქართველოს საზღვრებიდან. ს. დევდარიანი მაშინ საქ. პროფკავშირების თავმჯდომარე იყო და ცნობილ ალფეზ ხელაძესთან (და კედიასთან, როგორც ეს გაახსენა მას ერთ კრებაზე მისმა მაშინდელმა თანამშრომელმა ამხ. თოფაძ მ) ერთად იღებდა მონაწილეობას თბილისის, ბათომის, და სხვა ქალაქების პროლეტარიატის „გაეროვნებაში". ახლა მას სურს ეს საზიზღარი საქმე ჩვენ გაგვაგრძელებინოს ვითომდა ჩვენი ეროვნული პროგრამის მიხედვით. სად, როდის ან როგორ ამოიკითხა ს. დევდარიანმა ჩვენი პარტიის დოკუმენტებში, რომ ჩვენ ეროვნულ საკითხს ვსწყვეტთ პროლეტარიატის ხარჯზე? სად და როდის გაიგონა ჩვენგან მან, რომ მაგ. ადელხანოვის ქარხნის სომეხ-მუშებს, რომელთაც 20 და 30 წელიწადი უმუშავიათ თავისი მძიმე სამუშაო, ჩვენ გავრეკავთ. ან შეიძლება შრომის ბირჟაში მარტო ქართველები უნდა იყვნენ აღრიცხვაზე აყვანილი? ინტერნაციონალისტო, დევდარიანო, თუ თქვენ საკუთარი ინტერნაციონალისტური პროგრამის ნატამალი აღარ შეგრჩათ, ჩვენი პროგრამაც მაინც ველარ გაიგეთ? და თუ გაიგეთ, იმედის ნაპერწკალი მაინც შეგრჩათ იმის, რომ ჩვენ ხელოვნური და სახელმწიფოებრივი ზომებით ეროვნულ პრივილეგიებს შემოვიღებთ, ეროვნულ კურიებს შევქმნით პროლეტარიატის მთლიან ოჯახში!

რამოდენიმეთ მაინც გასაგები იქნებოდა თქვენ რო მოგეთხოვათ მაგალ., ავლაბარის და სხვა უბნების გაეროვნება მოახდინეთო—გასაგები იქნებოდა, რადგან თქვენი პარტიის ინტერნაციონალისტური დაცემა მხოლოდ ერთი გოჯის სიმაღლიდან მოხდა,—მაგრამ ფაბრიკა-ქარხნებში შედით მენშევიკური ეროვნული ალაბითო, ეს, მართალი გითხრათ, ლიტერატურული კამათის საგანი კი არა, ჩვენი პარტიის პოლიტიკური შეურაცხყოფის საკითხია. ჩვენ არ ვგრძნობთ თავს შეურაცხყოფილათ მიტომ, რომ ვიცით რა იდეოლოგიის მოციქულთან გვაქვს საქმე.

არ გვწყინს ს. დევდარიანის წერილის ბოლო „დებულებეიც": ინტერნაციონალიზმი საქართველოში ნიშნავს ქართველობის უმცირესობათ გადაქცევასო. მეოცნებეს, რომელსაც იმდენათ დაჰკარგვია რეალობის გრძნობა, რომ ფიქრობს ბოლშევიზმის გამენშევიკებას, ეპატიება არალეგალურ პროკლამაციების ზოგი დებულების სესხება.

მაგრამ ერთი რამ არ უნდა ავიწყდებოდეს ს. დევდარიანს და არც ჩვენ დაგვივიწყებთ: „ქართველ ელემენტებისადმი" ნდობა-უნდობლობის სივრცე და გასაქანი სავსებით დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენათ და როდის მოისპობა გავლენა მენშევიზმისა ამ ელემენტებში. ვიცით, ეს ელემენტები ქართველი ხალხის სულ მცირეოდენ ნაწილს წარმოადგენს, მაგრამ შინაგან ემიგრაციაში მყოფნი, ისინი იარაღი იყვნენ აქამდის გარეშე ემიგრაციისა. საბჭოთა ხელისუფლებამ ზომაზე მეტი ნდობა გამოიჩინა ამ „ელემენტების" მიმართ, როცა მათ ითმენდა თავის სახელმწიფოებრივ აპარატში. ახლა დროა შინაურმა ემიგრაციამ ზნეც იცვალოს და ფერიც—მმართველი პარტია და ხელისუფლება მზად იყო და არის ხელგაშლით მიეგებოს გუშინდელ მტერსაც კი და მასთან ერთად განაგრძოს არჩეული გზით სვლა და აღმშენებლობა.

ეს პროცესი დაწყებულია, როგორც შინ, ისე გარეთ.

ს. დევდარიანი, სანამ ის ფერთან ერთად ზნესაც არ იცვლის, ამ პროცესის შემბორკველი იქნება და, მაშასადამე, თავის შესაძლებლობის დაკვალად ზიანს მოუტანს როგორც „ქართველ ელემენტს", ისე საქართველოს მშრომელთა და მათ ხელისუფლებას.

---

1) „ბოლშევიზმი თუ რეაქცია—სავსებით შეცდარია ასეთი დაპირდაპირება, ეს საკითხის მეტაფიზიკური დაყენებაა. რუსეთში არ ყოფილა ორი ძალა. იყო ერთად ერთი ძალა... და ბოლშევიზმიც, კოლჩაკოვშჩინაც, დენიკინშჩინაც, ვრანგელევშჩინაც ჩვენს წინ წარმოსდგენ როგორც ამ არსებითად ერთიანი რეაქციონური ძალის მხოლოდ სხვადასხვა სახე"...

*) მაგალითად, მელითონეთა კავშირში ირიცხება (პროც—ში): ქართველი 26,4, სომეხი 20,8; გემოკვების კავშირში: ქართველი 44,8, სომეხი 21,7.

წერილები პროვინციიდან

გლეხკომის მუშაობა დაბა აბაშაში

(სენაკის მაზრა)

აბაშის გლეხკომის მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს. გლეხკომს აქვს საკუთარი ფურნე, საყასბო და სასადილო; სამივე დუქნები კარგათაა მოწყობილი, „რაიპოს“ მუშაობაც დამაკმაყოფილებელია, მასაც აქვს სასადილო, სამანუფაქტურო და საწვრილმანო სავაჭრო დუქნები. აგრეთვე „ქპოს“ განზრახვა აქვს მოაწყოს აბაშაში 25 ძალიანი ხეტყის ქარხანა პატარა ელექტრო-სადგურით, ასე, რომ აბაშა წინ მიდის და ეტყობა გამოცოცხლება.

ადგილობრივი ტეხნიკუმის შენობა უვარგისია და თხოულობს კაპიტალურ რემონტს. შენობის უქონლობის გამო სასწავლებელში არ არის მიღებული რამოდენიმე ათეული გლეხის შვილი.

სახალხო სახლის აგება დაწყებულია და ვადახურული არ არის. ამ ზამთარში, თუ დარჩა გადიხურავი ხალხის შრომა და ქონება დაილუპება. ბევრჯერ დაწერილა გაზეთებში აბაშის ტეხნიკუმის შესახებ, მაგრამ ყოველთვის უშედეგოთ დარჩენილა.

ვასკაჟ.

გაიყვანეთ ტელეფონის ქსელი

(ფ. | ტ. კომისარიატის და შორსამალმასკომის საყურადღებოდ).

ტელეფონის ქსელის გაყვანის შესახებ ჭიათურიდან—საჩხერეში დიდი ხანია ლაპარაკობენ. მაგრამ მრავალჯერ აღძრული შუამდგომლობა, დღემდი უყურადღებოდ არის დატოვებული. ტელეფონის ქსელი და კავშირი ტელეფონის საშუალებით საჩხერესთან აღდგენილი არ არის.

ჭიათურიდან საჩხერემდე 13 ვერსია და ტელეგრაფის ქსელის რემონტის დროს ტელეფონის ხაზის გაყვანა დიდ ხარჯებს არ გამოიწვევდა. რომ ამ საქმისათვის ყურადღება მიექციათ, დროებით მაინც აღდგენილ იქნებოდა ტელეფონის ქსელი საჩხერესთან ტელეგრაფის ქსელის საშუალებით. იმედია ფ | ტ. კომისარიატის და შორაპნის მაზრის აღმასკომი მიიღებენ სათანადო ზომებს და აღადგენენ კავშირს ტელეფონის საშუალებით საჩხერესთან.

ელწერი.

კოოპერატიული სასადილო ქ. ხონში

ქ. ხონში აუარებელი სამიკიტნოებია, სადაც ცივ მჟავში ნაგლეჯ ოხრახუშის ფოთლებში და ღვინოზე მიკიტნები ტყავს ართმევენ ღარიბ გლეხობას. სხვა ადგილებიდან ჩამოსულ უცხო პირთაც არ შეუძლიათ სუფთად და თავის გემოზე ისადილონ ხონში. ხონი, რომელიც მდებარეობს ქუთაისის, მათხოჯის, ნაოლალევის და სამტრედიის გზაჯვარედინზე, არის ერთი მთავარი პუნქტი ქუთაისის მაზრაში, სადაც იმართება ბაზრობა პარასკეობით და სწორეთ დაშორებულ სოფლებიდან ჩამოსულ ღარიბ გლეხობის ხარჯზე მიკიტნები ივსებენ ჯიბეებს.

საჭირო იყო კოოპერატიული სასადილოს მოწყობა და ის მალე კიდეც მზათ იქნება და თავის მუშაობით ის ბოლოს მოუღებს მიკიტნების მადა-აშლილობას.

გ. მ

ტყის დაცვისათვის

ს. დილიკაური (შორაპნის მაზრა)

დილიკაურის თემი მდიდარი იყო ტყით, მაგრამ ის შეუბრალებლათ გაიჩეხა და იჩეხება დღესაც. ტყის მეთვალყურენი გულგრილათ ეპყრობიან თავის მოვალეობას. საჭიროა უფრო პატიოსანი, უფრო მცოდნე და გულშემატკივარი ტყის მცველების შტატის შექმნა. უამისოთ ჩვენი ტყეებიდან მხოლოდ მოგონება დარჩება.

ამბროსი სალაძე.

ხეთის რაიონის სკოლები

(ზუგდ. მაზრა)

ხეთის რაიონში არ არის სკოლისათვის სავარგისი შენობები. მეტ წილადისინი დამპალი არიან. ფანჯრები არ აქვთ და სხვა.

ასეთ მდგომარეობაშია არა მარტო ხეთის რაიონის ერთი და ორი სკოლა, არამედ თითქმის ყველა. ხეთის 9 წლედის ორსართულიანი შენობა ლპება და ფუჭდება მოუვლელობით. თუ ერთი მოწვიმა, მეცადინეობა უნდა შეჩერდეს.

საჭიროა დაუყოვნებლივ ზომების მიღება შენობების შესაკეთებლად.

აკ. ივლიანიშვილი.

პროვინციის ქრონიკა

— **ფართლეულობა გლეხობ. სათვის.** სოფ. შილდას (თელავის მაზრა) კოოპერატივმა მიიღო დიდძალი ფართლეულობა გლეხებისათვის შეღავათიან ფასებში მისაწოდებლად.

— **ხევსურეთში.** თელავის ქალთა განყოფილება ხსნის პროფესიულ სკოლას. წინასწარი მუშაობა დამთავრებულია.

— **საბეითლო სადგურები.** ქუთაისის სამაზრო აღმასკომმა დაადგინა უხუთის, ზეკარის და ასხის თემებზე გახსნას საბეითლო სადგურები

— **ქუთაისის** სამაზრო აღმასკომმა შეადგინა სასოფლო-მეურნეობის 5 წლიანი გეგმა.

— **შორაპნის მაზრის მოსახლეობა.** უკანასკნელი გამოკვლევის მიხედვით შორაპნის მაზრაში, ზესტაფონის და ჭიათურის მიმატებით, ითვლება 187,077 მოსახლე.

— **სოფ. ზუგდულში.** (ქვემო რაჭა) მდ. რიონზე სამაზრო აღმასკომის თაოსნობით აგებული იქნა ხიდი.

— **შორაპნის მაზრის** პოლიტ-განათლების განყოფილებამ შეიძინა ქოხ-სამკითხველოებისათვის წიგნები, საქ. რუქები და რევოლიუციის ბელადთა სურათები.

— **ჯანმრთელობის საქმე.** შორაპნის მაზრაში ამჟამად არსებობს 5 საავადმყოფო, 14 საექიმო პუნქტი, 8 საფერშლო პუნქტი და 6 აბანო.

— **სახერხი ქარხანა.** ქ. ონში რაჭის აღმასკომმა მოაწყო სახერხი ქარხანა, აღმასკომს განზრახვა აქვს ქარხნისათვის შეიძინოს კიდევ ერთი დინამო მანქანა.

— **ჩოლაბურის ხიდი.** შორაპნის აღმასკომის ხელმძღვანელობით ამჟამად სწარმოებს ჩოლაბურის ხიდის აგება.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 126

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა დადგენილების თანახმ.დ—ამხ. ალ. გეგეჭკორი განთავისუფლებულ იქნეს ს. ს. ს. რ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის თანამდებობიდან;

ამხ. შალვა მათიკაშვილი დაინიშნოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად.

ამხ. თევდორე დოლიძე დაინიშნოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ.

ამხ. ალ. გეგეჭკორი დაინიშნოს ს. ს. ს. რ. მიწათმოქმედების სახალხო კომისრად.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

სრულიად საქ. საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1924 წ. ნოემბრის 24.
ტფილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

მობილიზაციით გაწვეულ ამხანაგების საყურადღებოთ.

პარტიული დისციპლინის წესით წინადადება ეძლევა ქვემოდ-ჩამოთვლილ ამხანაგებს მიმდინარე ნოემბრის 26-ს მოიხსნან სამუშაოდან და გამოცხადდენ ცეკას საორგანიზაციო განყოფილებაში.

იმ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, სადაც მუშაობენ ამ ჟამად აღნიშნული ამხანაგები, წინადადება ეძლევათ გაუსწორონ მათ სრული ანგარიში ნოემბრის 30-მდე და ამას გარდა მისცენ სალიკვიდაციო განაკვეთის ანგარიში ერთი თვის ჯამაგირი მათი თანამდებობის მიხედვით.

მობილიზაციით გაწვეულ ამხანაგების სია 1. გონაძე გ. მ., 2. ბახტაძე ე. ე., 3. ლოტარია გ. გ., 4. ზაქარიძე მ. გ., 5. ბალიანცი მკრტიჩ ბ., 6. გურგენიძე დიმიტრი ლევანისძე, 7. ლელაშვილი გიგო, 8. თაქთაქიშვილი ილია გ., 9 კალანდაძე კ. ს., 10. იმნაძე არ. ს., 11. მურღულაშვილი ი. პ., 12. ფოფხაძე ს. ლ., 13 მიკირტუმოვი გრიგოლი, 14. კელეპტრიშვილი ვასილი, 15. ჭელიძე ემელიანე, 16. მაისურაძე შალვა, 17. თხილავა დომენტი, 18. მიქელაძე გიორგი, 19. კიზირია სერაპიონი, 20. მოწონელიძე გრ., 21. მახარაძე ამბროსი, 22. თიკანაძე ლეო, 23. გაბიჩვაძე სერგეი, 24. ტრაპაიძე პალადი. 25. პაპავა ალ., 26. მანაგაძე ფილიპე, 27. სამედოვ აშრაფ., 28. ანთიძე ანტონი, 29. ახმედ ოღლი მახმედ, 30. მახმედ კულაშ, 31. ჩარკვიანი ალ. გ., 32. კეებ ალბერტ გაბრიელისძე, 33. სარქისოვი ალექსანდრე, 34. ხაჩატურიან აბრაამ, 35. დორმიდონტოვ ალექსანდრე კ., 36. როსტომოვი ტიგრანი, 37. აპციაური დავითი სპრ. 38. კარაგულმჩანც სარქის, 39. ჩიხლაძე შალვა ე., 40. აზრუმელაშვილი ლ. მ., 41. გვარამია ბიქტორ პავლეს-ძე, 42. მღებრიშვილი გიორგი, 43. კარქუსოვი ვლადიმერ, 44. ნადირაძე ბესარიონ, 45. ნიორაძე მიხეილი, 46. ჯვარშეიშვილი ალექსანდრე, 47. ვექილოვი გაიკ 48. დუდაევი არტემ, 49. თენეიშვილი აბესალომ, 50. ტერ-არუტიუნოვ არშალუის, 51. ტერ-არუტიუნოვ არშაკ, 52. ნუცუბიძე გალაქტიონ რ., 53. კაქარავა დავით, 54. ანთიძე სერგო, 55. ღლონტი მოსე.

ს. კ. პ. ც. კ-ტის მდივანი ი. კახიანი

ს. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის ქალთა განყოფილება იტყობინება, რომ სამშაბათს, 25 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე, ქალაქის აღმასკომის დარბაზში მოწვეულია დელეგატთა კრება ქალთა ორგანიზატორებთან ერთად.

დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.

საქართველოს ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის თბილისის კომიტეტი აცნობებს ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის ყველა წევრებს და კანდიდატებს, უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტებს და მუშფაკელებს, აგრეთვე ტეხნიკუმების და სკოლების ყველა მოწაფეებს, რომლებიც ითვლებიან თბილისის ორგანიზაციის საწარმოო და დაწესებულებათა უჯრედებში, რომ ამის გამოქვეყნებიდან სამი დღის ვადაში ეს პირები უნდა მოიხსნან წარმოებათა და დაწესებულებათა უჯრედებიდან და მიმაგრებულ იქნენ საქართველოს ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის იმ უჯრედებზე, რომლებიც იმყოფებიან ამა თუ იმ სასწავლებელთან.

საქართველოს ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის თბილისის კომიტეტის მდივანი: მეტონიძე.

აღრიცხვა-სტატისტიკური განყოფილების გამგე: კარპოვი.

— თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომის ქალთა განყოფილება იუწყება: სამშაბათს, 25 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე, მესამე რაიონის პარტკლუბის შენობაში შესდგება ქალთა დელეგატების კრება ქალ-ორგანიზატორებთან ერთად.

— თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიონის ქალთა განყოფილება იუწყება: ოთხშაბათს, 26 ნოემბერს, საღამოს 4 ნახ. საათზე, მესამე რაიონის პარტკლუბის შენობაში შესდგება ქალ-კორესპონდენტების წრის პირველი მეცადინეობა.

— თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომი აცხადებს: ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგების მიერ მოცემულია განცხადება პარტიაში მიღების შესახებ. თუ ვინმეს რაიმე ცნობები მოეპოვება ამ ამხანაგების შესახებ, ვთხოვთ გვაუწყონ რაიკომში (კახეთის ქ. № 1.) მდივან ვართაპეტიანთან ერთი კვირის განმავლობაში..

ამხანაგების სია: ვართაზაროვ არშაკ. ალახვერდოვ ვასილი. სხირტლაძე კონსტანტინე. აკოფოვ ოჰანეს. ბალდასაროვ ამაიაკ. ადიგეზალოვ გაბიბ, იბრაგიმ-ზადი-კულამ. სააკიან აკუშავან. ბაგაროვ გიორგი. ტერ-მინასიან ლეონ. ტერ-აკოფოვ რუბენ. პარავიან ართავაზ. მანუკიან ავეტიქ. ტერ-კირაკოსიან ჰაჩიკ. პაიჭაძე დავით. იარალოვ ვასილი. საპილოვ რუბენ. კობახიძე გიორგი. მხითაროვ მუშეღ. მარქაროვ ხეჩო. კობერიძე ვისარიონ. გრიგორიან სეღრაკ. სიმონიან გრიგოლ. ჩენკალენკო გრიგორი. ნოვრუზ-ზადე მარზია. გაბეშვილი ალექსანდრ. ესაიან ლეონ. რცხილაძე ვასილ. დარახჩევ ვართან. პეტროსიან ართავაზ. ბაბაიან არშავირ. რადჩენკო ლიდია. ისაევ სერგო. სარქისოვ ხაჩატურ. თვაური მიხეილ. კარაპეტიან იაკობ.

მდივანი ვართაპეტიან.

— თბილისის ორგანიზაციის არსრაიკომის ქალთა განყოფილება იუწყება: სამშაბათს, 25 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბის შენობაში შესდგება ქალთა დელეგატების კრება ქალორგანიზატორებთან და დიასახლისების დელეგატებთან ერთად.

ყველა ქალორგანიზატორებისათვის და დელეგატებისთვის დასწრება სავალდებულოა.

— თბილისის ორგანიზაციის არსრაიკომი იუწყება: ოთხშაბათს, 26 ნოემბერს, საღამოს 5 ნახ. საათზე, მუშათა ცენტრალურ კლუბის შენობაში შესდგება დელეგატთა კრება არსრაიკომის უჯრედების მდივნებთან და ბიუროებთან ერთად.

დღის წესრიგი: თბილისის კომიტეტის ანგარიში.—მოხსენება ამხ. რუბენისა.

დასწრება სავალდებულოა ყველა დელეგატებისთვის, ბიუროს წევრებისთვის და უჯრედების მდივნებისათვის.

განცხადებები

გულდამწვარი შვილები ნადია ნიჟარაძისა შვილით, ოლღა ხეჩინოვისა, თამარა, გრიგოლი, ვლადიმერ, ალექსანდრე და შალვა ეგნატეს-ძენი და ასულნი და რძალი მარგალიტა სამსონის ასული ნარსიები, სიძე ნიკოლოზ სიმონის-ძე ხეჩინაშვილი, და აქვილინე კაჰარავასი შვილით და ძმა იონა ნიკოლოზის-ძე ქითავა ცოლშვილით, გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 23 ნოემბერს ქ. ქუთაისში გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი და დაუვიწყარი

ელისაბედ ნიკოლოზის ასული
ნარსიასი

დაკრძალვა მოხდება ქ. ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოზე ხუთშაბათს, 27 ნოემბერს ნაშუადღევის 3 საათზე.

პანაშვიდები ყოველდღე საღამოს 5 საათზე

ქვ. № 2836—2—1

დავით ვასილის-ძე, მარგარიტა ბეჟანის-ასული, კესარია ვასილის ასული, ლოლა პავლეს ასული და ბესარიონ ვასილის-ძე გვახარია შვილებით მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 23 ნოემბერს ქ. ქუთაისში გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

ელისაბედ ნიკოლოზის ასული
ნარსიასი

დაკრძალვა მოხდება ამა თვის 27-ს, ხუთშაბათს, საღამოს 3 საათზე ქ. ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოზე.

2835—2—1

თანახმად თბილისის აღმასკომის დადგენილებისა,

თბილისის ხანძართმქრობ რაზმთან დაარსდა

საკვამლე მილების მწმენდელების გუნდი,

რომლის თანამშრომლებს აქვს სათანადო მოწმობები

მილების ჩამოწმენდისათვის დაწესებულია შემდეგი ფასი:

1) კერძო დაწესებულებების შენობაში, სადაც დანთება ხდება ყოველ დღიურად როგორც მაგალითად: თონეებში, ფურნეებში, რესტორანებში, სასადილოებში, აბანოებში და სხვა ამგვარ შენობებში . . .	1 მან.
2) იმავე დაწესებულებებში, მხოლოდ რომელიც ეკუთვნის სახელმწიფოს და სხვა საზოგადოების . . .	50 კაპ.
3) კერძო ბინებში, სადაც დანთება ხდება მხოლოდ გათბობის მიზნით . . .	30 კაპ.
4) საზოგადო და სახელმწიფო ბინებში . . .	25 კაპ.
5) ცენტრალური გათბობა—კერძო შენობებში . . .	2 მან.
6) „ „ საზ. და სახ. „ . . .	1 მან.

საკვამლე მილების შეკეთება ძირიდან სახურავამდე ხდება **შეთანხმებით** შესაძლებელია წლიური და ნახევარ წლიური ხელშეკრულების დადება 5 პროც. ხელშეკრულება.

ყველა მოწმობები და საქვითარო წიგნაკები გაცემული როგორც ცეცხლმქრობ რაზმის თანამშრომლებისთვის, ისე კერძო პირებისთვის ითვლება გაუქმებულად.

ცნობების მიღება შეიძლება თბილისის ბრანდმაიორის სამწერლოში ვაჟა-ფშაველას ქ. № 4 (ყ. ჟუკოვის) ელსმენის № 6—00.

№ 2843. 1—1 თბ. ბრანდმაიორი: ბერიძე.

თბილისის კომუნალური ბანკი

აქტივი. ბალანსი პასივი.

აქტივი	პირველ ოქტომბრისათვის	პირველ ნოემბრისათვის
კასა და მიმდინარე ანგარიშები	179.931—87	51.094—19
ფასიანი ქაღალდები და ვალიუტა	199.368—70	121.320—70
აღრიცხული ოპერაციები	779.873—73	755.455—40
სესხის ოპერაციები	323.357—32	418.019—92
გრძელვადიანი სესხი	181.688—14	226.544—83
კორესპონდენტები	569.620—78	673.431—74
საკუთარი საქონელი	—	17.974—73
მოძრავი ქონება	1 055 —	1.375 —
სხვადასხვა პირები	128 510—66	229.959—09
საორგანიზაციო ხარჯები	5.276 —	5.276 —
მიმდინარე ხარჯები		5.979—58
გადახდილი პროცენტები და საკომისიო ჯილდო		3—73
სხვა აქტივები	360.294—75	360.641—18
	2.728.976—95	2.867.076—09

პასივი	პირველ ოქტომბრისათვის	პირველ ნოემბრისათვის
კაპიტალი	500.000 —	500.000 —
ანაბარები და მიმდინარე ანგარიშები	805.251—16	681.086—09
სესხი და სპეც. მიმდ. ანგ. სახელ. ბანკში	410.534—17	423.751—52
კორესპონდენტები	496.409—82	681.596—24
გადმოგზავნილი ფული, რომელიც არ არის მოკითხული და გადახდილი	1.950 —	
სხვადასხვა პირები და დაწესებულებები	33.131—35	75.949—44
პროცენტები, საკომისიო და სხვა შემოსავალი		36.795—76
პროცენტები, რომელიც გადადის მომავალ წელში	17.712—48	
მოგება	104.217—49	104.217—49
სხვა აქტივები	359.770—48	363.679—55
	2.728.976—95	2.867.076—09

სახელმწიფო დრამა

დღეს, სამშაბათს, 25 ნოემბერს

ვინძორის მხიარული ქალები

შექსპირის კომ. 4 მოქ. 11 სურათად

ხუთშაბათს, 27 ნოემბერს

პირველად ამ სეზონში

„ინტერესთა თამაში“

ნ. № 289. 3—1

ს.ს.ს.რ. მ.-მ.ს.პ.

სახალხო მამულების ტრესტი

ჩაქვის ჩაი ჩინეთის ბუჩქების ნატურალური პროდუქტი

საქონლის საფონდო ბირჟის

=დეგუსტაციით=

ცნობილია: როგორც საუკეთესო თავისი თვისებით ბაზარზე არსებულ უცხოეთის და ადგილობრივ ჩაის შორის.

სიიაფით---კონკურენციის გარეშეა

ამიერ-კავკასიის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს დადგენილებით, მსხვილი მომხმარებლები კავშირში (სომხეთი, კომუნალური დაწესებულებები და სხვ.) ხმარობენ ამიერ-კავკასიის ჩაის.

ნ. № 290. 1—1

„ფოსტელკოპის“ ბალანსი

1924 წლის 1 ოქტომბრამდის

№	ანგარ. დასახელება	ნაშთი 1 ოქტომბერი 1924 წ. აქტივი. მან. კაპ.	პასივი. მან. კაპ.
1.	კასა	94 —	
2.	საქონელი	36.654—39	
3.	ინვენტარი	1.059—46	
4.	სხვადასხვა პირები	4.149—91	38.669—67
5.	მონისიავენი	8.945—41	
6.	ფასიანი ქაღალდები	3.000 —	
7.	ძირითადი თანხა		5582—94
8.	საპაიო თანხა		5—60
9.	1924 წლის წმინდა მოგება		3647—17
10.	1924 წ. 1 ოქტ. დარჩენილ საქონელზე ფასის დამატება		5997—79
		53.903—17	53.903—17

ნის. 283 1—1. ბუღჰ. მეგრელიშვილი.

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 25 ნოემბერს

1. სოფლის პატიოსნება
2. ჯამბაზები

ოთხშაბათს, 26 ნოემბერს

პირველად ამ სეზონში

„დაისი“

ნის. № 288 2—1

სახ. გან. კომისარიატის პრ. ტეხნ. გან. მთავარ მმართ. მფარველობაში მყოფი

საბუღალტრო კურსები № 1

ი. ავალიშვილის გამგებლობით

გაფართოვდა და გადავიდა ახალ ბინაზე

იხსნება ახალი ჯგუფი

პირობების გაგება შეიძლება კურსებზე და აგრეთვე დუშეთის ქუჩაზე № 19, საღამოს $4^1/_2$—$5^1/_2$ საათამდის

2810—3—2 კურსების მისამართი: დავიდოვის ქ. № 25

თბილისის აღმასკომის ადმინისტრატიული განყოფილება

ამით აცხადებს, რომ

27 ამა ნოემბერს დღის 12 საათზე

ადმინისტრატიულ განყოფილების სადგომში ამხ. ლ. დუმბაძის ქუჩაზე (ყოფილი ველიამინოვის ქუჩა № 7) დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

უვარგის ქონების გაყიდვაზე. გაიყიდება ავტომობილის და მოტოციკლეტის შინები და კამერები, საკერავი მანქანა, სასწორი, უნაგირები, ავშარები, ბატინკები, ჩექმები, ტანსაცმელი და სხვა. გასასყიდ საგნების გასინჯვა—ვაჭრობის დღეს.

თბ. აღმასკომის ადმინისტრ. განყოფილების უფროსის მაგიერ: ქუჩულორია.

ნის. 287. 1—1 სამნეო ნაწ. უფროსი: გამცემლიძე.

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგურის აგების სამუშაოთა
სამმართველო

ამით აცხადებს, რომ მის მიერ ა | წ. 27 ნოემბრისათვის

დანიშნულია ზაჰესის სამუშაოთა ადგილზე გენერატორულ სადგურის ქვეშ და გენერატორულ სადგურის წინ ვიადუკის ქვეშ ქვაბულის ამოთხრის სამუშაოს, რაოდენობით მიწის ამონაღები 1360 კუბ. საჟ. და კლდის ამონაღები 2660 კუბ. საჟ.,

ნარდათ გაცემის შეჯიბრება

ყველა სამუშაოს შესრულების ვადა არის 3 თვე. ამასთან ვადუკის ქვაბული შესრულებული უნდა იქნეს პირველი თვენახევარში.

შესრულების ვადა უნდა იქნეს უზრუნველყოფილი. აღნიშნული სამუშაოს სრულად აღების მსურველ პირთ შემოაქვთ ამის შესახებ წერილობითი განცხადება საღერბო მარკებით დაწესებულ თეთრა ნიმუშზე („ბლანკი“) დახურულ კონვერტში წარწერით: „ზაჰესის სამუშაოთა უფროსს 27 ნოემბრის შეჯიბრებისათვის“, რომელ რიცხვსაც დღის 3 საათზე გახსნილი იქნება კონვერტები.

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ თანახმად საქართველოში ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის ა | წ. 4 | 11 № 30156 მოწერილობით დადასტურებული ზაჰესკომის ა | წ. 31 | 10 თარილით დადგენილებისა ამ სამუშაოზე დამოკიდებულ ყველა გადასახადებს ღებულობს თავის თავზე ზაჰესკომი, რატომაც შეჯიბრებითი ფასებში გადასახადების ხარჯები გათვალისწინებული არ უნდა იქნეს.

განცხადებას დართული უნდა იქნეს ზაჰესის სალაროში განცხადებულ ჯამიდან 5 პროც. რაოდენობით საწინდარის შეტანის **ქვითარი.**

უძრავი ქონება და სხვა ამ გვარი საწინდრად არ მიიღება. საწინდარის წინასწარ შემოტანისაგან განთავისუფლებული არიან სახელმწიფო ორგანოები და სათანადოთ რეგისტრაციაში გატარებული მუშათა არტელები.

იმ პირთ და დაწესებულებათ, რომელთ სამუშაო არ დარჩებათ, საწინდარი დაუბრუნდებად უკან მეჯიბრების შედეგების გამორკვევისთანავე დაუყოვნებლივ; ხოლო იმ პირთა და დაწესებულებათა, რომელთა სამუშაო გადაეცემათ შეჯიბრებით, საწინდარი დარჩება ზაჰესის სალაროში და გადიდებული იქნება სამუშაოს საერთო ღირებულებიდან 10 პროც.-მდე პირველ მისაღები თანხებიდან, რომელიც დაუბრუნდებათ უკან სამუშაოს სრულიად და პირნათლად შესრულების შემთხვევაში.

სახელმწიფო დაწესებულებათ და მუშათა არტელებს სამუშაოს სრული ღირებულებიდან 10 პროც. რაოდენობით საწინდარის შესაქმნელად პირველ მისაღებ თანხებიდან დაეკავებათ 15 პროც.

პნევმატიური მოწყობილობა, ორთქლმავალი და 30 ცალი ოთხლერძიანი რონოდები მიცემული იქნება ზაჰესის მიერ უფასოდ.

დანარჩენი ჩვეულებრივი მოწყობილობა საალმშენებლო სამუშაოებისათვის მიცემული იქნება შეძლებისამებრ.

დაწვრილებით პირობების, ნახაზების, სამუშაოთა რაოდენობის და ტეხნიკური პირობების გაცნობა მსურველთ შეუძლიათ ზაჰესის ტეხნიკურ განყოფილებაში ოთახი № 14, ყოველდღე დილის 10—12 საათ.

(ქ. ტფილისი, ლადო დუმბაძის ქ. № 3 ყოფილი ველიამინოვის ქ.)

ნ. 265 2—2. სამუშაოთა უფროსი, ინჟენერი ბ. ჭიჭინაძე.

თავისუფლების მოედანზე

(კუთხე ლ. დუმბაძის და სომხის ბაზრის ქ. № 1).

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ამხანაგობა

„მდელოს“-მა გახსნა
I-ლ ხარისხოვანი სასადილო № 1

სადაც მზადდება ყოველგვარი ევროპიული და აზიური საჭმელები და აგრეთვე ბუფეტში გვაქვს ყოველნაირი სასმელები კოოპერატიულ ფასებში.

№ 2846. 2—1 გამგეობა.

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სთ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 2095.25—25

გამოცდილ მასწავლებ. ჯგუფი

(უმაღლესი განათლებით)

ამზადებს

საშუალო სასწავლებლის მთელი კურსის მოწმობაზე და ყველა კლასებისათვის, აგრეთვე ასწორებენ ჩამორჩენილ მოწაფეებს მათემატიკაში და სხვა საგნებში, აქვე სდგება მოსამზადებელი ჯგუფი უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად: უნივერსიტეტში, სამხედრო აკადემიაში, პოლიტეხნ. ინსტიტუტში. პლეხანოვის ქ. 25 შესავალი ალექსის ქუჩიდან 5.

9—2 კვირა უქმეს, ისე დღით 2—5

ბინა 4.

№ 2820—4—1

ექიმმა

დიტრიხმა

ავადმყოფობის შემდეგ

განაახლა

ავადმყოფების მიღება გერმანელთა საავადმყოფოში

ქვ. № 2837—25—1

ექიმი

შუხმანი

სიფილისის, ვენერიული და კანის ავადმყოფობის

მკურნალობა

მიღება 5—7 საათამდე

ელისაბედის ქ. № 89 ქსენიის პირდაპირ. 2672—25—

დავკარგე პირადობის მოწმ მოცემული რკინისგ სატრ. მომხმარებელი საზოგადოები № 433 და მასთან პარტიული საკანდიდა მოწმობა თამარ კვაჭაძეს სახელზე. ჩაით ლოს გაუქმებულათ. № 2842 1—1

დავკარგე პარტიული ბი № 489655 (დამზ წიგნაკი და სხვა საბუთები თამარა გოლის ასულის ჟღენტის სახელზე. თვალოს გაუქმებულათ. № 2833 1—

დავკარგე პირადობის მოწმ რაჭის მაზრა სო რაიონიდან აღებული ამბაკო აგლაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუ ბულათ. № 2839 1—

დავკარგე კავშირის წიგნაკი ნალურ მეურნეო მოცემული № 3188 ილია ბესარიონ ჭინჭალაურის სახელზე. ჩაითვალოს გაუ ბულათ. № 2840 1—

დავკარგე 1500მან. კოოპ. პორტფელი შიგ 1) ამხ. „ლიახვი“-ს, 2) საგადასახადო ცლები 300 ც. ტყვიავის და მის რა გლეხობის, 3) მანდატები გამგ. თემ გლეხკომის პრეზ. წევ. 5) მოპრის წიგ 2 ც. 6) ფულის ხელწერილები, 7) და სხვა. ნ. ლომიძე. № 2832 1—

დავკარგე პირადობის მოწ № 842 ნიკოლოზ ლაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გა ბულათ. № 2841 1—

დავკარგე რკინისგზის სატრ. საზ. საწევრო № 22024 ალექსანდრე თომაძე კა სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

დავკარგე პირადობის მოწმობა ცემული ს. საჯამა რაიაღმასკომისაგან № 475 არქიფო ნისძე ჭკუასელის სახელზე. ჩაით გაუქმებულათ. № 2845 1—

დავკარგე „ზაკტეპოს“ კოოპ. წიგნაკი № 30001 გა ი. ხოჯევანიშვილის სახელზე. ჩაით გაუქმებულათ. № 2844 1—

„ზარია ვოსტოკას“ სტამბა, სამ. წერეთლის ქუჩა 4.